| ვადაგადაცილების დღეები | < 30 დღე | 31 – 60 დღე | 61 – 90 დღე | 91 – 180 დღე | > 360 დღე |
|------------------------|----------|-------------|-------------|--------------|-----------|
| რეზერვის განაკვეთი     | 1%       | 5%          | 25%         | 50%          | 100%      |

### **ფული და ფულის ექვივალენტები**

ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს საბანკო ნაშთებსა და სხვა მოკლევადიან ლიკვიდურ ინვესტიციებს, რომლებიც ადვილად კონვერტირდება გარკვეული რაოდენობის ფულის სანაცვლოდ და ექვემდებარება ღირებულებაში ცვლილების უმნიშვნელო რისკს.

### **ფინანსური ინსტრუმენტები**

#### **ფინანსური აქტივები**

ფასს 9 - ფინანსური ინსტრუმენტების მიხედვით ფინანსური აქტივები შეიძლება დაკლასიფიცირდეს სამ კატეგორიად - „ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი“, „რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი, ცვლილებების მოგებაში ან ზარალში ასახვით“, „რეალური ღირებულებით შეფასებული, ცვლილებების სხვა სრულ შემოსავალში ასახვით“. კომპანიის ხელმძღვანელობამ შეაფასა, თუ რომელი ბიზნეს მოდელი შეესაბამება კომპანიის ფინანსურ აქტივებს და ყველა აქტივი დააკლასიფიცირა შემდეგ კატეგორიად „ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი“.

#### **ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი**

**შპს „ლასარე“  
ფინანსური ანგარიშგება  
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით  
ქართულ ლარში**

ფინანსური აქტივები შეფასებული ამორტიზებული ღირებულებით მოიცავს სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს და ფულსა და ფულის ეკვივალენტებს. მოცემული აქტივები წარმოიქმნება მომხმარებლებისთვის საქონლისა და მომსახურების მიწოდებიდან (მაგ. სავაჭრო მოთხოვნები), ასევე მოიცავს სხვა სახის ფინანსურ აქტივებს, რომლის ფლობის მიზანია სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება და ეს ფულადი ნაკადები წარმოადგენს მხოლოდ ძირს და მასზე დარიცხულ პროცენტს. ისინი საწყისი აღიარებისას შეფასებულია რეალური ღირებულებით დამატებული გარიგების ის დანახარჯები, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ფინანსური აქტივის შეძენასთან ან გამოშვებასთან და შემდგომში აღრიცხულია ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, შემცირებული გაუფასურების რეზერვის მოცულობით.

სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი აღიარებულია პრაქტიკული ხასიათის გამარტივებული მიდგომის საფუძველზე, რომლის მიხედვით არსებობის მანძილზე სავაჭრო მოთხოვნების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი გამოითვლება რეზერვების მატრიცის გამოყენებით. კომპანია საკრედიტო ზარალის წარსულ მონაცემებს იყენებს ფინანსური აქტივების არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესაფასებლად. კომპანია აფასებს ფინანსური აქტივებიდან ფულადი ნაკადების გადაუხდელობის ალბათობას. შემდეგ მოცემული ალბათობა მრავლდება მოსალოდნელ დანაკარგებზე, რომელიც გამოწვეულია ხელშეკრულების შეუსრულებლობის რისკიდან, რათა განისაზღვროს სავაჭრო მოთხოვნების არსებობის მანძილზე მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგი. სავაჭრო მოთხოვნები აღრიცხულია წმინდა ღირებულებით, რომლის გაუფასურების რეზერვიც აღრიცხულია განცალკევებულ ანგარიშზე ხარჯის კორესპოდენციით, რომელიც აღიარებულია ხარჯად სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. კომპანია სავაჭრო მოთხოვნების სრულ ღირებულებას ჩამოწერს რეზერვის მოცულობაზე, როდესაც განსაზღვრავს, რომ სავაჭრო მოთხოვნა აღარ ექვემდებარება დაბრუნებას.

ფული და ფულის ეკვივალენტები არის ისეთი აქტივები, რომლებიც დაუბრკოლებლად გადაიცვლება ნაღდი ფულის წინასწარ ცნობილ ოდენობაზე და მათი ღირებულების შეცვლის რისკი უმნიშვნელოა. ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, ფულს გზაში, ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე და მოთხოვნამდე დეპოზიტებს, რომელთა ვადიანობა არის 3 თვემდე. 3 თვეზე მეტი ვადით შეზღუდული სახსრები არ ჩაირთვება ფულში და ფულის ეკვივალენტებში.

### **გადახდილი ავანსები**

საავანსო გადახდები აღირიცხება გადახდის ფაქტობრივი ღირებულებით, გამოკლებული გაუფასურება. საავანსო გადახდები კლასიფიცირებულია, როგორც გრძელვადიანი, როდესაც მოსალოდნელია, რომ საავანსო გადახდებთან დაკავშირებული საქონელი ან მომსახურებები მიღებული იქნება ერთ წლის შემდეგ, ან როდესაც წინასწარი გადახდები უკავშირდება აქტივს, რომელიც თავად იქნება პირველადი აღიარებისას კლასიფიცირებული, როგორც გრძელვადიანი. აქტივების შესაძენი წინასწარი გადახდები გადადის აქტივის საბალანსო ღირებულებაში, როდესაც კომპანია მოიპოვებს აქტივზე კონტროლს ან მოსალოდნელია აქტივთან დაკავშირებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში. სხვა საავანსო გადახდები ჩამოიწერება მოგება-ზარალში, როდესაც მიღებულია საავანსო გადახდებთან დაკავშირებული საქონელი ან მომსახურება. თუ არის იმის ინდიკატორები, რომ საავანსო გადახდებთან დაკავშირებული აქტივი, საქონელი და მომსახურება არ იქნება მიღებული, საავანსო გადახდების საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება შესაბამისად და შესაბამისი გაუფასურების ზარალი აღიარდება წლის მოგება-ზარალში.

### **ფინანსური ვალდებულებები**

#### **კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება**

საწარმომ ყველა ფინანსურ ვალდებულებას უნდა მიაწიოს კლასიფიკაცია „შემდგომში ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული“, გარდა:

ა) ფინანსური ვალდებულებებისა, რომლებიც ასახულია რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით. ასეთი ვალდებულებები, წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტების ჩათვლით, რომლებიც ვალდებულებებს წარმოადგენს, საწარმომ შემდგომში უნდა შეაფასოს რეალური ღირებულებით;

ბ) ფინანსური ვალდებულებებისა, რომლებიც იმ შემთხვევაში წარმოიქმნება, როდესაც ფინანსური აქტივის გადაცემა არ აკმაყოფილებს აღიარების შეწყვეტის კრიტერიუმებს, ან, როდესაც გამოიყენება აქტივში მონაწილეობის შენარჩუნების მიდგომა.

გ) ფინანსური გარანტიის ხელშეკრულები და სასესხო ვალდებულებები.

#### **აღიარების შეწყვეტა**



**შპს „ლასარე“  
ფინანსური ანგარიშგება  
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით  
ქართულ ლარში**

ორგანიზაცია ფინანსურ ვალდებულებას (ან ფინანსური ვალდებულების ნაწილი) ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებიდან მხოლოდ იმ შემთხვევაში იღებს, როდესაც ის შესრულდება - ე.ი. როდესაც ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულება დაიფარება, გაუქმდება ან ვადა გაუვა.

არსებითად განსხვავებული პირობების მქონე სავალო ინსტრუმენტის გაცვლა არსებულ გამსესხებელსა და მსესხებელს შორის განხილულ უნდა იქნეს, როგორც თავდაპირველი ფინანსური ვალდებულების დაფარვა და ახალი ფინანსური ვალდებულების აღიარება. პირობები არსებითად განსხვავებულად მიიჩნევა, თუ თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით განსაზღვრული ახალი პირობების შესაბამისი ფულადი ნაკადების დღევანდელი ღირებულება, ნებისმიერი ნეტო გადახდილი საზღაურის (გადახდილ საზღაურს მინუს მიღებული საზღაური) ჩათვლით, სულ მცირე 10 პროცენტით განსხვავდება თავდაპირველი ფინანსური ვალდებულების დარჩენილი ფულადი ნაკადების დღევანდელი ღირებულებისაგან. თუ სავალო ინსტრუმენტების გაცვლა ან პირობების შეცვლა განხილვება როგორც გაუქმება, ნებისმიერი წარმოშობილი დანახარჯები თუ საზღაური უნდა აღიარდეს, როგორც გაუქმების შედეგად მიღებული შემოსულობა ან ზარალი. თუ სავალო ინსტრუმენტების გაცვლა ან პირობების შეცვლა არ განხილვება, როგორც გაუქმება, ნებისმიერი წარმოქმნილი დანახარჯები თუ საზღაური აკორექტირებს ვალდებულების საბალანსო ღირებულებას და ამორტიზდება მოდიფიცირებული ვალდებულების დარჩენილი ვადის განმავლობაში.

### **ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების დანეტება**

კომპანია ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებს ანეტებს მაშინ, როდესაც ურთიერთჩათვლა იურიდიულად არ არის შეზღუდული და კომპანია გეგმავს ანგარიშსწორებას ნეტო საფუძველზე ან ფინანსური აქტივის მიღებას და ვალდებულების დაფარვას გეგმავს ერთგვაროვნად.

### **სავაჭრო და სხვა ვალდებულებები**

სავაჭრო ვალდებულებები აღირიცხება როდესაც კონტრაგენტი ასრულებს თავის ვალდებულებებს და აღიარდება თავდაპირველად სამართლიანი ღირებულებით და შემდეგ აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

### **ანარიცხები და პირობითი ვალდებულებები**

ანარიცხების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც კომპანიას მიმდინარე იურიდიული ან კონსტრუქციული ვალდებულებები აქვს წარსულში მომხდარი მოვლენების გამო, და ვალდებულებების შესასრულებლად მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის მქონე რესურსების გადინება და შესაძლებელია ვალდებულებების მოცულობის მისაღები სიზუსტით შეფასება.

პირობითი ვალდებულებები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში არ აღიარდება, თუმცა დასახელდება, თუ ანგარიშსწორების მიზნით ფულადი ნაკადის გადინების ალბათობა დაბალი არ არის. პირობითი აქტივი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში არ აღიარდება, თუმცა დასახელდება, თუ ეკონომიკური სარგებლის მიღებაა მოსალოდნელი.

### **საწესდებო კაპიტალი**

კომპანიის ავტორიზებული საწესდებო კაპიტალი კომპანიის წესდებით განისაზღვრება. ავტორიზებული კაპიტალის საწესდებო კაპიტალად აღიარება ხდება კომპანიის საკუთარ კაპიტალში კომპანიის მფლობელის მიერ განხორციელებული შენატანების ოდენობით.

### **დივიდენდები**

დივიდენდების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც წარმოშობილია მათი გადახდის იურიდიული მოვალეობა. დივიდენდები აღიარდება როგორც ვალდებულება და შესაბამისი თანხით მცირდება კაპიტალი. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებამდე გამოქვეყნებული დივიდენდები განიმარტება ბალანსის შემდგომ მოვლენებში.

### **შემოსავალი კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან**

კომპანია აღიარებს შემოსავალს დაპირებული საქონლის ან მომსახურების მომხმარებლებისთვის გადაცემისას, იმ ანაზღაურების ოდენობით, რომლის მიღების უფლებასაც კომპანია მოელის ამ საქონლის ან მომსახურების გადაცემის სანაცვლოდ.

კომპანია იყენებს ხუთ საფეხურიან მოდელს მომხმარებელთან გაფორმებული ყველა ხელშეკრულების მიმართ:

**შპს „ლასარე“  
ფინანსური ანგარიშგება  
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით  
ქართულ ლარში**

- მომხმარებლებთან ხელშეკრულების იდენტიფიცირება;
- სახელშეკრულებო ვალდებულებების დადგენა;
- გარიგების ფასის განსაზღვრა;
- გარიგების ფასის მიკუთვნება სახელშეკრულებო ვალდებულებასთან;
- შემოსავლის აღიარება, როდესაც (ან თუ) პირი შეასრულებს სახელშეკრულებო ვალდებულებას;

კომპანია შემოსავალს აღიარებს სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულებისას, ანუ მაშინ, როდესაც შესაბამის ვალდებულებასთან დაკავშირებულ საქონელზე ან მომსახურებაზე “კონტროლი” მომხმარებელს გადაეცემა.

**შესასრულებელი ვალდებულება და შემოსავლის აღიარების დროულობა**

კომპანიის ძირითადი შემოსავლის წყაროს წარმოადგენს მომხმარებლებზე საპაეო ტვირთების საკენდლინგო და სატერმინალო მომსახურების მიწოდება.

შემოსავალი ტვირთების მომსახურებიდან აღიარდება მაშინ, როდესაც აღნიშნულ ტვირთზე კონტროლი გადაეცემა მომხმარებელს, გარკვეული ანაზღაურების სანაცვლოდ. საფასურის გადახდა ხდება დაუყოვნებლივ, როდესაც მომხმარებელი მიიღებს საქონელსა და მომსახურებას.

აქედან გამომდინარე, ამ სახის შემოსავლის აღიარება ხდება იმ დროს, როდესაც ფიზიკური მფლობელობა გადაეცემა მომხმარებელს ან ერთჯერადი მომსახურება არის მიწოდებული.

**საკონტრაქტო ღირებულების განსაზღვრა**

ტრანზაქციის ფასი წარმოადგენს ღირებულებას, რომელსაც კომპანია მოელის საქონლისა და მომსახურების მიწოდების სანაცვლოდ, რომელიც არ მოიცავს მესამე მხარისთვის გადასახდელებს. (როგორცაა დამატებითი ღირებულების გადასახადი). კომპანიის შემოსავლის ძირითადი საკონტრაქტო ღირებულება არის ფიქსირებული და შესაბამისად, თითოეული კონტრაქტიდან მისაღები შემოსავლის განსაზღვრა ხდება მოცემული ფიქსირებული ფასების მიხედვით.

**შესასრულებელ ვალდებულებებს შორის ღირებულების გადანაწილება**

კომპანიის მიზანია, საკონტრაქტო ღირებულების განაწილებისას, მოახდინოს საკონტრაქტო ღირებულების განაწილება ყოველ შესასრულებელ ვალდებულებაზე (პროდუქციისა და მომსახურების გამიჯვნა) ისეთი ოდენობით, რომლის მიღებასაც კომპანია ელოდება პროდუქციისა და მომსახურების გადაცემის სანაცვლოდ.

კომპანიის კონტრაქტების უმეტესი ნაწილი არის ფიქსირებულფასიანი. იმ შემთხვევაში, როდესაც ხელშეკრულება ან პროექტი მოიაზრებს მნიშვნელოვან ტვირთბრუნვის მოცულობას, მათ შორის რამდენიმე მომსახურების გაწევას შესაძლებელია სპეციალური ტარიფის შეთავაზება.

**საოპერაციო ხარჯები**

ხარჯები აღიარებულია შემოსავლის ანგარიშგებაში, თუკი წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური მოგების შემცირება, რომელიც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ შეფასდეს.

ხარჯები დაუყოვნებლივ აღიარდება შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ ხარჯები აღარ იწვევს მომავალ ეკონომიკურ მოგებას, ან თუ მომავალი ეკონომიკური მოგება არ აკმაყოფილებს ან აღარ აკმაყოფილებს აქტივის ბალანსში აღიარების მოთხოვნებს. კომპანია თავისი ძირითადი ოპერაციების განხორციელებისას ახდენს როგორც საოპერაციო, ასევე სხვა ხარჯების გაწევას, რომელიც პირდაპირ არ არის დაკავშირებული პროდუქციის რეალიზაციასთან.

(ა) თანამშრომელთა ხელფასები და სხვა შეღავათები – დარიცხული ხელფასი, პრემიები და სხვა სარგებელი(დაზღვევა) ერიცხება იმავე საანგარიშო პერიოდში, როდესაც სრულდება შესაბამისი მომსახურება.

(ბ) იჯარა - საოპერაციო იჯარის გადასახადების აღიარება ხდება ხარჯის სახით იჯარის ვადაზე დარიცხვის წრფივი მეთოდით.

**ოპერაციები უცხოურ ვალუტაში**

კომპანიის ფუნქციონალური ვალუტაა ლარი. უცხოურ ვალუტაში არსებული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები კონვერტირდება კომპანიის შესაბამის ფუნქციონალურ ვალუტაში ანგარიშგების თარიღისთვის გაცვლითი კურსის გამოყენებით. უცხოურ ვალუტაში გამოსახული გარიგების განხორციელების შედეგად

**შპს „ლასარე“  
ფინანსური ანგარიშგება  
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით  
ქართულ ლარში**

წარმოქმნილი გაცვლითი კურსის სხვაობები აისახება მოგება-ზარალის უწყისში იმ დღისათვის არსებული გაცვლითი კურსის შესაბამისად.

გაცვლითი კურსები წარმოდგენილია ქვემოთ:

|                                          | საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური<br>ვალუტის კურსი |        |
|------------------------------------------|---------------------------------------------------------|--------|
|                                          | აშშ დოლარი                                              | ევრო   |
| გაცვლითი კურსი 31 დეკემბერი 2024         | 2.8068                                                  | 2.9306 |
| გაცვლითი კურსი 31 დეკემბერი 2023         | 2.6894                                                  | 2.9753 |
| საშუალო გაცვლითი კურსი 31 დეკემბერი 2024 | 2.7227                                                  | 2.9455 |
| საშუალო გაცვლითი კურსი 31 დეკემბერი 2023 | 2.6279                                                  | 2.8416 |

### მოგების გადასახადი

მოგების გადასახადი ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია საანგარიშო პერიოდის დასრულებისთვის მიღებული საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, რომელიც მოიცავს მიმდინარე და გადავადებულ გადასახადებს და აღიარებულია მოცემული წლის მოგება-ზარალში, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ის აღიარებულია სხვა სრულ შემოსავალში, რადგან ის დაკავშირებულია იმავე ან სხვადასხვა პერიოდში, სხვა სრულ შემოსავალში აღიარებულ ტრანზაქციებთან.

მიმდინარე გადასახადი არის თანხა, რომლის გადახდაც მოსალოდნელია საგადასახადო ორგანოებისთვის დასაბეგრ მოგებასთან დაკავშირებით მიმდინარე ან წინა პერიოდებისთვის. დასაბეგრი მოგება ეფუძნება გაანგარიშებებს, თუ ფინანსური ანგარიშები ნებადართულია შესაბამისი საგადასახადო დეკლარაციების წარდგენამდე. მოგების გადასახადის გარდა სხვა გადასახადები აღირიცხება ადმინისტრაციულ და სხვა საოპერაციო ხარჯებში.

გადავადებული საშემოსავლო გადასახადი წარმოდგენილია საბალანსო ვალდებულების მეთოდის გამოყენებით საგადასახადო ზარალის მომავალ პერიოდში გადატანასთან და დროებით სხვაობებთან მიმართებაში, რომელიც წარმოიქმნება აქტივებისა და ვალდებულებების საგადასახადო ბაზასა და მათ საბალანსო ღირებულებას შორის, ფინანსური ანგარიშგების მიზნებისათვის. თავდაპირველი აღიარებისას გამონაკლისის შესაბამისად, გადავადებული გადასახადები არ აღირიცხება ტრანზაქციაში (რომელიც არ არის შერწყმა) აქტივებისა და პასივების თავდაპირველ აღიარებიდან გამომდინარე დროებით სხვაობებთან დაკავშირებით, თუ ტრანზაქცია თავდაპირველად აღიარებისას, გავლენას არ მოახდენს სააღრიცხვო მოგებასა თუ დასაბეგრ მოგებაზე.

მოგების გადასახადს კომპანია ადგენს საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად. მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის თანახმად, დაბეგრას ექვემდებარება მხოლოდ მფლობელებს შორის განაწილებული მოგება, ხოლო რეინვესტირებული მოგება არ ექვემდებარება მოგების გადასახადს (გარდა სსკ-ის 981-ე და 309-ე მუხლის 99-ე და 103-ე ნაწილებით გათვალისწინებული გამონაკლისებისა. საქართველო). საშემოსავლო გადასახადის ვალდებულება გამოითვლება განაწილებული დივიდენდის თანხის 15/85-ით.

### დამატებითი ღირებულების გადასახადი

გაყიდვებთან დაკავშირებული დამატებული ღირებულების გადასახადი უნდა გადაიხადოს საგადასახადო ორგანოებს, როდესაც საქონელი და მომსახურება მიეწოდება მომხმარებელს. დღგ-ს ინვოისის მიღებისას შეყვანის დღე, როგორც წესი, ერიცხება გამომავალ დღე-ს. საგადასახადო ორგანოები ნებას რთავენ დღგ-ს გადახდის წმინდა საფუძველზე. შესყიდვებთან და გაყიდვებთან დაკავშირებული დღგ აღიარებულია და აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წმინდა საფუძველზე. როდესაც ხდება დებიტორული დავალიანების გაუფასურების რეზერვი, გაუფასურების ზარალი აღიარებულია მომავალი მთლიანი ოდენობით, დღგ-ს ჩათვლით.

### 3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადება მოითხოვს ხელმძღვანელობისგან ისეთ შეფასებებს და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოდგენილი აქტივებისა და ვალდებულებების ოდენობაზე და წლის ბოლოს სრული შემოსავლის ანგარიშგებაში წარმოდგენილ შემოსავალსა და ხარჯებზე. შეფასებებისა და დაშვებების გადახედვა ხდება უწყვეტად. ეს შეფასებები და დაშვებები ეყრდნობა წარსულ გამოცდილებასა და მრავალ სხვა ფაქტორს, რომლებიც გარემოებათა გათვალისწინებით მიზანშეწონილად მიიჩნევა. ფაქტობრივი შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს ამგვარი შეფასებებისგან სხვადასხვა დაშვებების თუ პირობების

**შპს „ლასარე“  
ფინანსური ანგარიშგება  
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით  
ქართულ ლარში**

მიხედვით. ქვემოთ მოცემულია შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მნიშვნელოვანია კომპანიის ფინანსური მდგომარეობისთვის და ფინანსური შედეგებისთვის.

**რეზერვი მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგებისთვის.** მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასების რეზერვი მოითხოვს შეფასების და განსჯის ხარისხს. იგი ეფუძნება სიცოცხლის მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს, დაჯგუფებულია ვადაგადაცილებული დღეების მიხედვით და აკეთებს ვარაუდებს თითოეული ჯგუფისთვის საერთო მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის განაკვეთის გამოყოფისთვის. ეს ვარაუდები მოიცავს გაყიდვების ბოლო გამოცდილებას და ისტორიული შეგროვების მაჩვენებლებს.

**ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები.** ძირითადი საშუალებები იცვითება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა ხდება ხელმძღვანელობის შეფასებებზე დაყრდნობით, თუ რა პერიოდის განმავლობაში აპირებს კომპანია აქტივიდან სარგებლის მიღებას. სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებმა შეიძლება მნიშვნელოვანი ვარიაციები გამოიწვიოს საბალანსო ღირებულებებსა და პერიოდის სრული შემოსავლის მუხლებში. სააღრიცხვო შეფასებებში ცვლილება აღირიცხება პერსპექტიულად.

**დაკავშირებული მხარეების ტრანზაქციები.** ჩვეულებრივ, კომპანია ახორციელებს ტრანზაქციებს დაკავშირებულ მხარეებთან. განსჯა გამოიყენება იმის დასადგენად, არის თუ არა ტრანზაქცია საბაზრო ღირებულებით, როდესაც არ არის აქტიური ბაზარი მსგავსი ტრანზაქციისთვის.

**საიჯარო ვადა.** საიჯარო ვადა მნიშვნელოვანი კომპონენტია როგორც აქტივის გამოყენების უფლების, ისე საიჯარო ვალდებულებების გაზომვაში. მსჯელობები ხორციელდება იმის დასადგენად, არის თუ არა გონივრული რწმუნება, რომ გამოყენებული იქნება საიჯარო ხელშეკრულების გაგრძელების ან ძირითადი აქტივის შემენის ოფციონი, ან არ იქნება გამოყენებული საიჯარო ხელშეკრულების შეჩერების ვარიანტი, საიჯარო ვადაში შესატანი პერიოდების დადგენისას. საიჯარო ვადის დადგენისას, ყველა ფაქტი და გარემოება, რომელიც ქმნის ეკონომიკურ სტიმულს ვადის გაგრძელების ოფციონის გამოყენებისთვის, ან შეწყვეტის ოპციონის გამოყენებისათვის, განიხილება იჯარის დაწყების დღეს. განხილული ფაქტორები შეიძლება მოიცავდეს აქტივის მნიშვნელობას კომპანიის საქმიანობისთვის; პირობების შედარება არსებულ საბაზრო განაკვეთებთან; მნიშვნელოვანი ჯარიმების დაკისრება; უკვე არსებული იჯარით აღებული ფართის კეთილმოწყობა; ხარჯები და აქტივის ჩანაცვლების მოშლა. კომპანია აფასებს, გონივრულია თუ არა გაგრძელების ოპციონის გამოყენება, ან შეწყვეტის ოპციონის გამოყენება, თუ მოხდა მნიშვნელოვანი მოვლენა ან გარემოებების მნიშვნელოვანი ცვლილება.

**ზღვრული სასესხო განაკვეთი.** თუ საპროცენტო განაკვეთი საიჯარო პირობებში მარტივად ვერ განისაზღვრება, ზღვრული სასესხო განაკვეთის დამატებითი სესხის პროცენტის დაანგარიშება ხდება მომავალი საიჯარო გადასახადების დისკონტირებით, რომ მოხდეს საიჯარო ვალდებულების ამჟამინდელი ღირებულების განსაზღვრა იჯარის დაწყების მომენტში. ასეთი განაკვეთი ემყარება იმას, რასაც კომპანია აფასებს, რომ მას მესამე მხარის გადახდა მოუწევს, სესხის მისაღებად საჭირო სახსრების მისაღებად საჭირო აქტივის მსგავსი ღირებულების აქტივის მოსაპოვებლად, მსგავსი პირობებით, უსაფრთხოებით და ეკონომიკური გარემოთი. ასეთი განაკვეთი ემყარება იმას, რაც კომპანიის შეფასებით, მას მესამე მხარისთვის უნდა გადაეხადა მესამე მხარისგან სესხის მიღების შემთხვევაში რომ მიეღო მსგავსი აქტივი გამოყენების უფლებით, მსგავს პირობებში და ეკონომიკური გარემოში.

#### **4. ახალი და შესწორებული სტანდარტები და ინტერპრეტაციები**

კომპანიამ მიიღო ყველა ახალი ან შესწორებული საბუღალტრო სტანდარტი და ინტერპრეტაცია, რომლებიც გამოქვეყნებულია საერთაშორისო საბუღალტრო სტანდარტების საბჭოს მიერ და სავალდებულოა მიმდინარე ანგარიშგების პერიოდისთვის. კომპანიის მიერ ამ ახალი ან შესწორებული საბუღალტრო სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების ზეგავლენა ჯერ არ არის შეფასებული.

ყველა ახალი ან შესწორებული საბუღალტრო სტანდარტი და ინტერპრეტაცია, რომელიც ჯერ არ არის სავალდებულო, ნაადრევად არ იქნა მიღებული.

ქვემოთ მოცემული ახალი და შესწორებული სტანდარტები, რომლებიც გამოქვეყნებულია საერთაშორისო საბუღალტრო სტანდარტების საბჭოს მიერ, ძალაში შედის 2024 წლის 1 იანვრიდან ან მის შემდეგ დაწყებული საანგარიშო პერიოდებისთვის და გამოყენებულია ამ ფინანსური ანგარიშგებების მომზადების პროცესში:

##### **1. IAS 1-ის ცვლილებები: ვალდებულებების კლასიფიკაცია როგორც მიმდინარე ან არამიმდინარე**

- ძალაში შესვლის თარიღი: 2024 წლის 1 იანვარი

- მოკლე აღწერა: აღნიშნული ცვლილებები აზუსტებს კრიტერიუმებს, რომელთა საფუძველზეც ვალდებულებები კლასიფიცირდება მიმდინარე ან არამიმდინარე ვალდებულებებად, აქცენტი იმ უფლებებზე, რომლებიც საანგარიშო პერიოდის ბოლოს არსებობს.

## 2. IFRS 16-ის ცვლილებები: იჯარის ვალდებულება გაყიდვა-გაქირავების ოპერაციაში

- ძალაში შესვლის თარიღი: 2024 წლის 1 იანვარი
- მოკლე აღწერა: აღნიშნული ცვლილებები განსაზღვრავს, როგორ უნდა შეფასდეს იჯარის ვალდებულება და როგორ უნდა აღიაროს კომპანიამ ნებისმიერი მოგება ან ზარალი გაყიდვა-გაქირავების ოპერაციაში.

## 3. IAS 12-ის ცვლილებები: გადავადებული გადასახადი აქტივებსა და ვალდებულებებზე, რომლებიც წარმოიქმნება ერთიან ტრანზაქციაში

- ძალაში შესვლის თარიღი: 2024 წლის 1 იანვარი
- მოკლე აღწერა: ცვლილებები ზღუდავს IAS 12-ის გათავისუფლების სფეროს, რაც კომპანიებს ავალდებულებს, აღიარონ გადავადებული გადასახადი იმ ტრანზაქციებზე, რომლებიც იწვევს თანაბარი ოდენობის დაბეგვრად და გამოსაკლებ დროებით სხვაობებს.

## სტანდარტები და ცვლილებები, რომლებიც გამოქვეყნებულია, მაგრამ ჯერ არ ძალაში შესული

ქვემოთ მოცემული ახალი და შესწორებული სტანდარტები, რომლებიც გამოქვეყნებულია საერთაშორისო საბუღალტრო სტანდარტების საბჭოს მიერ, მაგრამ ძალაში არ არის შესული 2024 წლის 1 იანვრიდან ან მის შემდეგ დაწყებული საანგარიშო პერიოდებისთვის. კომპანიას არ გამოუყენებია აღნიშნული სტანდარტები და მიმდინარე ეტაპზე აფასებს მათ გავლენას მომავალ ფინანსურ ინსტრუმენტებზე.

## 1. IFRS 18: ფინანსური ანგარიშგების წარმოდგენა და გამჟღავნება

- ძალაში შესვლის თარიღი: 2027 წლის 1 იანვარი
- მოკლე აღწერა: IFRS 18 შემოაქვს ახალი კატეგორიები და შუალედური მაჩვენებლები მოგებისა და ზარალის ანგარიშში და ავალდებულებს მენეჯმენტის მიერ განსაზღვრული ფინანსური მაჩვენებლების გამჟღავნებას.

## 2. IAS 21-ის ცვლილებები: გაცვლის შეუძლებლობა

- ძალაში შესვლის თარიღი: 2025 წლის 1 იანვარი
- მოკლე აღწერა: ცვლილებები განსაზღვრავს, როგორ უნდა შეაფასოს სუბიექტმა, შესაძლებელია თუ არა ვალუტის გაცვლა, და საბუღალტრო აღრიცხვის მოთხოვნებს იმ შემთხვევაში, თუ გაცვლა შეუძლებელია.

## 3. IFRS 9-ისა და IFRS 7-ის ცვლილებები: ბუნებრივ რესურსებზე დამოკიდებული ელექტროენერგიის კონტრაქტები

- ძალაში შესვლის თარიღი: 2026 წლის 1 იანვარი
- მოკლე აღწერა: ცვლილებები აზუსტებს „საკუთარი მოხმარებისთვის“ მოთხოვნების გამოყენებას და საშუალებას აძლევს გარკვეულ კონტრაქტებს, დაექვემდებარონ ჰეჯირებისა და აღრიცხვის წესებს.

შპს „ლასარე“  
ფინანსური ანგარიშგება  
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით  
ქართულ ლარში

5. ძირითადი საშუალებები

|                                                      | მიწა             | შენობები           | მანქანა-<br>დანადგარები | ოფისის<br>აღჭურვილობა | ავიჯი            | სატრანსპორტო<br>საშუალებები | სულ                |
|------------------------------------------------------|------------------|--------------------|-------------------------|-----------------------|------------------|-----------------------------|--------------------|
| <b>ისტორიული ღირებულება 1 იანვარი 2023</b>           | <b>3,930,337</b> | <b>8,446,688</b>   | <b>3,045,513</b>        | <b>665,348</b>        | <b>861,832</b>   | <b>3,068,808</b>            | <b>20,018,526</b>  |
| შეძენა                                               | -                | 710,741            | 27,441                  | 63,107                | 62,741           | 1,692,873                   | 2,556,903          |
| გასვლა                                               | -                | -                  | -                       | (3,972)               | (3,601)          | (264,621)                   | (272,194)          |
| სხვა კომპანიაზე გადაცემა რეორგანიზაციის შედეგად      | (3,930,337)      | (9,157,429)        | (1,848,667)             | (217,593)             | (186,799)        | (1,978,491)                 | (17,319,316)       |
| <b>ისტორიული ღირებულება 31 დეკემბერი 2023</b>        | <b>-</b>         | <b>-</b>           | <b>1,224,287</b>        | <b>506,890</b>        | <b>734,173</b>   | <b>2,518,569</b>            | <b>4,983,919</b>   |
| შეძენა                                               | -                | -                  | 142,793                 | 20,377                | 22,655           | -                           | 185,825            |
| გაყიდვა                                              | -                | -                  | (43,314)                | (4,010)               | (254,174)        | (261,994)                   | (563,492)          |
| ჩამოწერა                                             | -                | -                  | (151,396)               | (162,569)             | -                | -                           | (313,965)          |
| <b>ისტორიული ღირებულება 31 დეკემბერი 2024</b>        | <b>-</b>         | <b>-</b>           | <b>1,172,370</b>        | <b>360,688</b>        | <b>502,654</b>   | <b>2,256,575</b>            | <b>4,292,287</b>   |
| <b>აკუმულირებული ცვეთა 1 იანვარი 2023</b>            | <b>-</b>         | <b>(2,592,804)</b> | <b>(1,599,958)</b>      | <b>(259,717)</b>      | <b>(689,216)</b> | <b>(1,617,063)</b>          | <b>(6,758,758)</b> |
| ცვეთის ხარჯი                                         | -                | (385,672)          | (276,984)               | (67,803)              | (52,933)         | (399,388)                   | (1,182,780)        |
| გაყიდვა                                              | -                | -                  | -                       | 1,761                 | 920              | 215,541                     | 218,222            |
| სხვა კომპანიაზე გადაცემა რეორგანიზაციის შედეგად      | -                | 2,978,476          | 960,723                 | 35,101                | 116,261          | 376,653                     | 4,467,214          |
| <b>აკუმულირებული ცვეთა 31 დეკემბერი 2024</b>         | <b>-</b>         | <b>-</b>           | <b>(916,219)</b>        | <b>(290,658)</b>      | <b>(624,968)</b> | <b>(1,424,257)</b>          | <b>(3,256,102)</b> |
| ცვეთის ხარჯი                                         | -                | -                  | (108,804)               | (61,142)              | (33,085)         | (142,196)                   | (345,227)          |
| გაყიდვა                                              | -                | -                  | 38,666                  | 1,735                 | 252,478          | 261,994                     | 554,873            |
| ჩამოწერა                                             | -                | -                  | 151,396                 | 154,054               | -                | -                           | 305,450            |
| <b>აკუმულირებული ცვეთა 31 დეკემბერი 2024</b>         | <b>-</b>         | <b>-</b>           | <b>(834,961)</b>        | <b>(196,011)</b>      | <b>(405,575)</b> | <b>(1,304,459)</b>          | <b>(2,741,006)</b> |
| <b>წმინდა საბალანსო ღირებულება</b>                   |                  |                    |                         |                       |                  |                             |                    |
| <b>წმინდა საბალანსო ღირებულება 31 დეკემბერი 2022</b> | <b>3,930,337</b> | <b>5,853,884</b>   | <b>1,445,555</b>        | <b>405,631</b>        | <b>172,616</b>   | <b>1,451,745</b>            | <b>13,259,768</b>  |
| <b>წმინდა საბალანსო ღირებულება 31 დეკემბერი 2023</b> | <b>-</b>         | <b>-</b>           | <b>308,068</b>          | <b>216,232</b>        | <b>109,205</b>   | <b>1,094,312</b>            | <b>1,727,817</b>   |
| <b>წმინდა საბალანსო ღირებულება 31 დეკემბერი 2024</b> | <b>-</b>         | <b>-</b>           | <b>337,409</b>          | <b>164,677</b>        | <b>97,079</b>    | <b>952,116</b>              | <b>1,551,281</b>   |

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას აქვს სრულად ამორტიზირებული ძირითადი საშუალებები, რომელთა ღირებულება შეადგენს 264,578 ლარს, თუმცა 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას არ გააჩნდა სრულად ამორტიზებულ ძირითადი საშუალებები, ვინაიდან ისინი გადაეცა შპს „ჯსლ ჯგუფს“. კომპანიის ძირითადი საშუალებები არ არის უზრუნველყოფილი.



## 6. არამატერიალური აქტივები

კომპანიის არამატერიალური აქტივები მოიცავს ოპერაციულ პროგრამულ უზრუნველყოფას, რომლებიც ამორტიზებულია შემცირებადი ნაშთის მეთოდით, წლიური განაკვეთით 15%. ამორტიზაციის მეთოდი და განაკვეთი ყოველწლიურად განიხილება იმის უზრუნველსაყოფად, რომ ისინი ასახავს აქტივის ეკონომიკური სარგებლის მოხმარების სქემას.

## 7. აქტივის გამოყენების უფლება და საიჯარო ვალდებულება

კომპანიამ გააფორმა ხელშეკრულება “ჯსლ ჯგუფთან”, რომლის მიხედვითაც შპს „ლასარე“ იჯარით აიღო კომერციული ფართი ეკონომიკური საქმიანობის განხორციელებისთვის. იჯარის ხელშეკრულების საგანი მდებარეობს აეროპორტის ტერიტორიაზე და ხელშეკრულების ვადა შეადგენს 5 წელს.

ხელშეკრულებაში არ არის მითითებული საპროცენტო განაკვეთი, ამიტომ კომპანიამ მომავალი გადახდების დისკონტირებისათვის გამოიყენა საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოქვეყნებული სტატისტიკური ინფორმაცია ბაზრის სესხის საპროცენტო განაკვეთებთან დაკავშირებით. გამოყენებული დისკონტირების განაკვეთი შეადგენს 9.5%-ს.

ქვემოთ წარმოდგენილია დეტალური ცხრილი, რომელიც ასახავს „აქტივის გამოყენების უფლებას“ და „საიჯარო ვალდებულებას“ 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

| აქტივის გამოყენების უფლება          | კომერციული ფართი |
|-------------------------------------|------------------|
| 2024 წლის 1 იანვრის მდგომარეობით    | -                |
| დამატება                            | 4,070,878        |
| ცვეთა                               | (865,591)        |
| მოდიფიკაცია                         | 1,122,563        |
| 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით | 4,327,850        |

| საიჯარო ვალდებულება                           | კომერციული ფართი |
|-----------------------------------------------|------------------|
| 2024 წლის 1 იანვრის მდგომარეობით              | -                |
| დამატება                                      | 4,070,878        |
| საპროცენტო ხარჯი                              | 485,845          |
| საიჯარო გადასახადი                            | (1,173,013)      |
| მოდიფიკაცია                                   | 1,122,563        |
| კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული მოგება/ზარალი | 64,063           |
| 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით           | 4,570,336        |

|                                  | 31 დეკემბერი 2024 | 31 დეკემბერი 2023 |
|----------------------------------|-------------------|-------------------|
| გრძელვადიანი საიჯარო ვალდებულება | 3,608,314         | -                 |
| მოკლევადიანი საიჯარო ვალდებულება | 962,022           | -                 |
| სულ საიჯარო ვალდებულება          | 4,570,336         | -                 |

|                         | 2024      | 2023 |
|-------------------------|-----------|------|
| 1 წელზე ნაკლები         | 962,022   | -    |
| საპროცენტო ხარჯი        | (392,180) | -    |
| საიჯარო გადასახადი      | 1,354,202 | -    |
| 1 დან 3 წლამდე          | 2,219,284 | -    |
| საპროცენტო ხარჯი        | (489,121) | -    |
| საიჯარო გადასახადი      | 2,708,405 | -    |
| 3 დან 5 წლამდე          | 1,389,030 | -    |
| საპროცენტო ხარჯი        | (78,023)  | -    |
| საიჯარო გადასახადი      | 1,467,053 | -    |
| სულ საიჯარო ვალდებულება | 4,570,336 | -    |

## 8. გადახდილი ავანსები

|                                                                          | 31 დეკემბერი 2024 | 31 დეკემბერი 2023 |
|--------------------------------------------------------------------------|-------------------|-------------------|
| გადახდილი ავანსი გადახდილი ავანსი პროგრამული უზრუნველყოფის კომპანიისთვის | -                 | 349,458           |
| გადახდილი ავანსი სადაზღვევო კომპანიისთვის                                | 10,401            | 19,502            |
| გადახდილი ავანსი აუდიტორული კომპანიისთვის                                | 20,000            | 35,126            |
| სხვა გადახდილი ავანსები                                                  | 40,601            | 49,744            |
| <b>სულ გადახდილი ავანსები</b>                                            | <b>71,002</b>     | <b>453,830</b>    |

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ პროგრამული უზრუნველყოფის კომპანიამ შპს „ლასარეს“ მიაწოდა საბოლოო პროგრამა, რომელიც შპს „ლასარეს“ სააღრიცხვო სისტემაში დარეგისტრირებულია როგორც არამატერიალური აქტივი.

## 9. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

|                                              | 31 დეკემბერი 2024 | 31 დეკემბერი 2023 |
|----------------------------------------------|-------------------|-------------------|
| მოთხოვნები ავია კომპანიების მიმართ           | 213,475           | 203,428           |
| მოთხოვნები იურიდიული კომპანიების მიმართ      | 269,137           | 118,226           |
| მოთხოვნები საელჩოს მიმართ                    | 15,025            | 17,330            |
| სხვა მოთხოვნები                              | 2,262             | 4,634             |
| <b>მოთხოვნები გაუფასურებამდე</b>             | <b>499,899</b>    | <b>343,618</b>    |
| გაუფასურების რეზერვი                         | (38,433)          | (43,096)          |
| <b>მოთხოვნები გაუფასურების შემდეგ</b>        | <b>461,466</b>    | <b>300,522</b>    |
| მოთხოვნები თანამშრომლების მიმართ მიმართ      | -                 | 2,415             |
| მოთხოვნები სადეპოზიტო სერტიფიკატიდან         | -                 | 291               |
| <b>სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები წმინდა</b> | <b>461,466</b>    | <b>303,228</b>    |

სავაჭრო მოთხოვნების და გაუფასურების რეზერვის ნაშთები ვადაგადაცილების მიხედვით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

| 2024 წელი                             | < 30           | 31-60         | 61-90        | 91-180       | > 180    | სულ            |
|---------------------------------------|----------------|---------------|--------------|--------------|----------|----------------|
| რეზერვის პროცენტი                     | 1%             | 5%            | 25%          | 50%          | 100%     |                |
| <b>მოთხოვნები გაუფასურებამდე</b>      | 403,239        | 54,883        | 11,722       | 2,659        | 27,396   | 499,899        |
| გაუფასურების რეზერვი                  | (4,032)        | (2,744)       | (2,931)      | (1,330)      | (27,396) | (38,433)       |
| <b>მოთხოვნები გაუფასურების შემდეგ</b> | <b>399,207</b> | <b>52,139</b> | <b>8,791</b> | <b>1,329</b> | <b>-</b> | <b>461,466</b> |

| 2023 წელი                             | < 30           | 31-60         | 61-90         | 91-180       | > 180    | სულ            |
|---------------------------------------|----------------|---------------|---------------|--------------|----------|----------------|
| რეზერვის პროცენტი                     | 1%             | 5%            | 25%           | 50%          | 100%     |                |
| <b>მოთხოვნები გაუფასურებამდე</b>      | 235,044        | 46,702        | 21,680        | 14,402       | 25,790   | 343,618        |
| გაუფასურების რეზერვი                  | (2,350)        | (2,335)       | (5,420)       | (7,201)      | (25,790) | (43,096)       |
| <b>მოთხოვნები გაუფასურების შემდეგ</b> | <b>232,694</b> | <b>44,367</b> | <b>16,260</b> | <b>7,201</b> | <b>-</b> | <b>300,522</b> |

გაუფასურების რეზერვის მოძრაობა წარმოდგენილია შემდეგნაირად:

|                                                  |                 |
|--------------------------------------------------|-----------------|
| <b>ნაშთი 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით</b>    | <b>(49,255)</b> |
| აღდგენა                                          | 6,159           |
| დამატება                                         | -               |
| <b>ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით</b> | <b>(43,096)</b> |
| აღდგენა                                          | 4,663           |
| დამატება                                         | -               |
| <b>ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით</b> | <b>(38,433)</b> |

10. მოკლევადიანი ინვესტიციები

მოკლევადიანი ინვესტიციები წარმოადგენს დეპოზიტებს და სადეპოზიტო სერთიფიკატებს, რომლებსაც კომპანია ფლობს ადგილობრივ კომერციულ ბანკებში. დეტალური ინფორმაცია მოცემულია ქვემოთ მოცემულ ცხრილში.

| ბანკი   | დაწყების<br>თარიღი | დაფარვის<br>თარიღი | ვალუტა | თანხა     | დარიცხული<br>პროცენტი | მიღებული<br>პროცენტი | სულ       |
|---------|--------------------|--------------------|--------|-----------|-----------------------|----------------------|-----------|
| ბანკი 1 | 16/01/2024         | 15/01/2025         | ლარი   | 2,925,349 | 267,149               | 267,149              | 2,925,349 |
| ბანკი 2 | 16/01/2024         | 16/01/2025         | ევრო   | 1,465,300 | 49,178                | -                    | 1,514,478 |
| ბანკი 3 | 16/01/2024         | 10/01/2025         | ლარი   | 950,000   | 100,205               | -                    | 1,050,205 |
|         |                    |                    |        | 5,340,649 | 416,532               | 267,149              | 5,490,032 |

11. ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები 2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

|                                        | 31 დეკემბერი 2024 | 31 დეკემბერი 2023 |
|----------------------------------------|-------------------|-------------------|
| დეპოზიტები ეროვნულ ვალუტაში            | -                 | 1,026,000         |
| დეპოზიტები უცხოურ ვალუტაში             | -                 | 3,148,899         |
| შეზღუდული ფული*                        | 1,084,142         | 1,047,161         |
| ფული ბანკში უცხოურ ვალუტაში            | 4,931,647         | 3,931,257         |
| ფული ბანკში ეროვნულ ვალუტაში           | 10,739,306        | 4,553,079         |
| ნაღდი ფული სალაროში ეროვნულ ვალუტაში   | 50,316            | 13,767            |
| <b>სულ ფული და ფულის ეკვივალენტები</b> | <b>16,805,411</b> | <b>13,720,163</b> |

შეზღუდული ფული წარმოადგენს ეროვნულ და უცხოურ ვალუტაში ბლოკირებულ თანხებს, რომელიც შეზღუდულია სს თიბისი ბანკთან საბანკო გარანტიების ხელშეკრულების ფარგლებში.

კომპანია ასევე იღებს სარგებელს ბანკში განთავსებული მიმდინარე და შემნახველი ანგარიშებიდან, რომელმაც ანგარიშგების პერიოდში შეადგინა 874,087 ლარი (2023 წელი: 900,759 ლარი).

საპროცენტო შემოსავალი წარმოდგენილია შემდეგნაირად:

| აღწერა                                                             | 2024 წლისთვის    | 2023 წლისთვის    |
|--------------------------------------------------------------------|------------------|------------------|
| საპროცენტო შემოსავალი დეპოზიტებიდან და სადეპოზიტო სერთიფიკატებიდან | 416,532          | 984,017          |
| საპროცენტო შემოსავალი შემნახველი ანგარიშიდან                       | 831,920          | 826,545          |
| საპროცენტო შემოსავალი მიმდინარე ანგარიშიდან                        | 42,167           | 74,215           |
| <b>სულ საპროცენტო შემოსავალი</b>                                   | <b>1,290,619</b> | <b>1,884,777</b> |

კომპანიას აქვს საბანკო გარანტიები თიბისი ბანკში, რომლებიც წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ ცხრილში. ვალდებულებების უზრუნველსაყოფად კომპანიამ ბანკში განათავსა შეზღუდული ნაღდი ფული. გარანტიები გაცემულია კომპანიის კლიენტების მიმართ არსებული ვალდებულებების უზრუნველსაყოფად.

| ხელშეკრულება<br># | ვალუტა        | საპრო<br>ცენტო<br>განაკვეთი | გაცემის<br>თარიღი | დაფარვის<br>ს თარიღი | თანხა<br>ვალუტაში | ნაშთი<br>31/12/2024 | დარიცხული<br>პროცენტი | გადახდილი<br>პროცენტი |
|-------------------|---------------|-----------------------------|-------------------|----------------------|-------------------|---------------------|-----------------------|-----------------------|
| 000124774         | აშშ<br>დოლარი | 2 %                         | 13/01/2011        | 26/01/2026           | 15,000            | 40,841              | 830                   | 830                   |
| 000151141         | აშშ<br>დოლარი | 2 %                         | 28/12/2011        | 30/12/2025           | 5,000             | 13,614              | 277                   | 277                   |
| 3279826-10656165  | აშშ<br>დოლარი | 1.50 %                      | 10/09/2019        | 01/03/2024           | 50,000            | -                   | 619                   | 619                   |

**შპს „ლასარე“  
ფინანსური ანგარიშგება  
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით  
ქართულ ლარში**

| 3279826-12291110  | აშშ<br>დოლარი | 2 %                         | 12/01/2022        | 12/02/2025         | 2,500             | 13,614              | 23                    | 23                    |
|-------------------|---------------|-----------------------------|-------------------|--------------------|-------------------|---------------------|-----------------------|-----------------------|
| 3279826-13025579  | აშშ<br>დოლარი | 2.80 %                      | 26/01/2024        | 20/11/2025         | 280,000           | 762,356             | 18,540                | 18,540                |
| 3279826-8923010   | ლარი          | 2 %                         | 05/08/2017        | 27/05/2025         | 200,000           | 200,000             | 4,011                 | 4,011                 |
| 3279826-8923048   | აშშ<br>დოლარი | 2 %                         | 05/08/2017        | 06/03/2025         | 10,000            | 27,227              | 546                   | 546                   |
| ხელშეკრულება<br># | ვალუტა        | საპრო<br>ცენტო<br>განაკვეთი | გაცემის<br>თარიღი | დაფარვის<br>თარიღი | თანხა<br>ვალუტაში | ნაშთი<br>31/12/2024 | დარიცხული<br>პროცენტი | გადახდილი<br>პროცენტი |
| 000124774         | აშშ<br>დოლარი | 2 %                         | 13/01/2011        | 26/01/2026         | 15,000            | 40,341              | 820                   | 820                   |
| 000151141         | აშშ<br>დოლარი | 2 %                         | 28/12/2011        | 30/12/2025         | 5,000             | 13,447              | 273                   | 273                   |
| 3279826-10656165  | აშშ<br>დოლარი | 1.50 %                      | 10/09/2019        | 01/03/2024         | 50,000            | 753,032             | 18,931                | 18,931                |
| 3279826-12291110  | აშშ<br>დოლარი | 2 %                         | 12/01/2022        | 12/02/2025         | 2,500             | 13,447              | 22                    | 22                    |
| 3279826-8923010   | ლარი          | 2 %                         | 05/08/2017        | 27/05/2025         | 200,000           | 200,000             | 4,011                 | 4,011                 |
| 3279826-8923048   | აშშ<br>დოლარი | 2 %                         | 05/08/2017        | 06/03/2025         | 10,000            | 26,894              | 540                   | 540                   |

## 12. საწესდებო კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი შედგება ფულადი შენატანებისგან, რომელიც 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენდა 2,500,200 ლარს. (2023: 2,500,200 ლარი).

2024 საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში, კომპანიამ გამოაცხადა და გადაიხადა დივიდენდები ჯამში 7,420,000 ლარის და 5,817,000 ლარის ოდენობით. (2023: 2,500,000 ლარი და 4,842,105 ლარი).

## 13. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

|                                          | 31 დეკემბერი 2024 | 31 დეკემბერი 2023 |
|------------------------------------------|-------------------|-------------------|
| ვალდებულებები თანამშრომლების მიმართ      | 693,074           | 694,927           |
| ვალდებულებები ავია კომპანიების მიმართ    | 1,100,372         | 782,113           |
| ვალდებულებები მომწოდებლების მიმართ       | 355,135           | 259,255           |
| სხვა ვალდებულებები                       | 383               | 38,988            |
| <b>სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები</b> | <b>2,148,964</b>  | <b>1,775,283</b>  |

## 14. მიღებული ავანსები

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული მიღებული ავანსები წარმოადგენს სხვადასხვა მომხმარებლებისგან ტრანსპორტირების მომსახურების სანაცვლოდ გადახდილ წინაწარ მიღებულ თანხებს, რომელმაც შეადგინა 363,258 ლარი (2023: 233,815 ლარი).

## 15. საგადასახადო ვალდებულებები

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის მიხედვით, გადასახადების გადახდა ხორციელდება ხაზინის ერთიანი ანგარიშიდან გადასახადებისათვის განკუთვნილ ერთიან სახაზინო კოდზე. შესაბამისად, ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში, რომელიც შედგენილია 2024 წლისა და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიამ საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები წარადგინა ნეტო პრინციპით, შესაბამისად 1,361,045 ლარისა და 83,120 ლარის ოდენობით. საგადასახადო გადასახდელები მოიცავს ბეგარის ანგარიშებზე დაგროვილ ვალდებულებებს, როგორიცაა: დღგ, ქონების გადასახადი და პენსიის გადასახადი.

**შპს „ლასარე“  
ფინანსური ანგარიშგება  
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით  
ქართულ ლარში**

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საგადასახადო გადასახადის ნაშთი ძირითადად შედგება მოგების გადასახადის ვალდებულებისგან – 903,249 ლარი და ფიზიკური პირების საშემოსავლო გადასახადისგან – 454,220 ლარი, რომლებიც კომპანიამ შემდგომ პერიოდში გადაიხადა.

## 16. შემოსავალი

შემოსავალი 2024 და 2023 წლების განმავლობაში კატეგორიების მიხედვით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

|                                                             | 2024 წელი         | 2023 წელი         |
|-------------------------------------------------------------|-------------------|-------------------|
| შემოსავალი ტვირთის სახლმელეთო და სატერმინალო მომსახურებიდან | 9,842,252         | 7,496,128         |
| შემოსავალი მომსახურებიდან                                   | 12,726,526        | 10,437,298        |
| სხვა შემოსავალი                                             | 385,594           | 869,417           |
| <b>სულ შემოსავალი</b>                                       | <b>22,954,372</b> | <b>18,802,843</b> |

კომპანიის შემოსავლის ძირითადი წყარო არის შემდეგი სახის საქმიანობიდან: საჰაერო ტვირთის სახლმელეთო დამუშავება და სატერმინალო მომსახურება, დასაწყობება და შენახვა, საჰაერო ტვირთებთან დაკავშირებული მომსახურება, ტვირთის დატვირთვა-განტვირთვა, ტრანსპორტირების სხვა დამხმარე საქმიანობები.

სხვა შემოსავალი მოიცავს მიტანის მომსახურების, სატვირთო ავტომობილების საპარკინგე სივრცის იჯარის და საბროკერო მომსახურების საქმიანობებიდან მიღებულ შემოსავლებს.

## 17. თვითღირებულება

თვითღირებულება 2024 და 2023 წლების განმავლობაში წარმოდგენილია შემდეგნაირად:

|                                                                           | 2024 წელი          | 2023 წელი          |
|---------------------------------------------------------------------------|--------------------|--------------------|
| შრომის ანაზღაურების ხარჯი                                                 | (4,637,481)        | (3,980,494)        |
| ცვეთის ხარჯი                                                              | (1,064,419)        | (448,246)          |
| როიალტის ხარჯი                                                            | (462,233)          | -                  |
| საპროცენტო ხარჯი საიჯარო ვალდებულებაზე                                    | (448,579)          | -                  |
| ტერიტორიაზე დაშვების ხარჯი                                                | (359,443)          | (282,477)          |
| მანქანებისა და სატრანსპორტო საშუალებების შეკეთებისა და მომსახურების ხარჯი | (192,557)          | (114,768)          |
| ლოჯისტიკის ხარჯი                                                          | (102,715)          | (104,464)          |
| უსაფრთხოების ხარჯი                                                        | (99,732)           | (94,182)           |
| საწვავის ხარჯი                                                            | (82,285)           | (75,578)           |
| ტრენინგის ხარჯი                                                           | (46,913)           | (33,946)           |
| ტრანზიტის ხარჯი ტვირთზე                                                   | (29,096)           | (121,258)          |
| უნიფორმის ხარჯი                                                           | -                  | (110,257)          |
| სხვა ხარჯები                                                              | (152,070)          | (79,223)           |
| <b>სულ თვითღირებულება</b>                                                 | <b>(7,677,523)</b> | <b>(5,444,893)</b> |

საკონტრაქტო შეთანხმების საფუძველზე, როიალტის ხარჯი წარმოადგენს გადასახადს, რომელიც გადახდილია კომპანიის მიერ შპს ჯსლ ჯგუფისთვის, 2023 წლის 22 დეკემბერს ხელმოწერილი ჰონორარის ხელშეკრულების თანახმად. ჰონორარის ოდენობა გამოითვლება გადამუშავებული ტვირთის წონიდან გამომდინარე.

კომპანიასა და შპს ჯსლ ჯგუფს შორის დადებულია იჯარის ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც შპს ლასარემ იქირავა კომერციული ფართი ეკონომიკური საქმიანობის განსახორციელებლად. შესაბამისად, იჯარის ვალდებულებაზე დარიცხული პროცენტის ხარჯი კლასიფიცირებულია როგორც თვითღირებულების ხარჯი.

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების მომზადების დროს, კომპანიამ გადახედა შედარებითი პერიოდის ზოგიერთი ხარჯის კლასიფიკაციას. შედეგად, ტრენინგის ხარჯები, რომლებიც თავდაპირველად 2023 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი იყო ზოგად და ადმინისტრაციულ ხარჯებში, გადატანილია თვითღირებულების ხარჯებში. გადაკლასიფიცირება განხორციელდა იმისთვის, რომ უფრო ზუსტად ასახულიყო ამ ხარჯების ბუნება და ფუნქცია, რადგან ისინი უშუალოდ უკავშირდებოდა ოპერაციულ საქმიანობას. გადაკლასიფიცირებული თანხაა: ტრენინგის ხარჯები – 33,946 ლარი. აღნიშნულ გადაკლასიფიცირებას არ მოუხდენია გავლენა შედარებითი პერიოდის მოგება/ზარალზე.

შპს „ლასარე“  
ფინანსური ანგარიშგება  
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით  
ქართულ ლარში

2024 წლის ანგარიშგების პერიოდში, კომპანიამ 2023 წლის შენიშვნებში ტრენინგის ხარჯები გადაკლასიფიცირდა თვითღირებულების ხარჯებში, რადგან ისინი გამოყენებული იყო ოპერაციულ საქმიანობაში. შესაბამისი თანხა: ტრენინგის ხარჯები – 33,946 ლარი.

### 18. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი

ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი 2024 და 2023 წლების განმავლობაში წარმოდგენილია შემდეგნაირად:

|                                            | 2024 წელი          | 2023 წელი          |
|--------------------------------------------|--------------------|--------------------|
| შრომის ანაზღაურების ხარჯი                  | (2,347,255)        | (2,687,029)        |
| საკონსულტაციო მომსახურების ხარჯი           | (236,788)          | (135,563)          |
| საოფისე ხარჯები                            | (209,096)          | (211,443)          |
| ცვეთა და ამორტიზაცია                       | (201,018)          | (744,828)          |
| ბანკის საკომისიო ხარჯი                     | (137,056)          | (113,323)          |
| დაზღვევის ხარჯი                            | (123,111)          | (187,544)          |
| კომუნალური ხარჯი                           | -                  | (170,054)          |
| დასუფთავების ხარჯი                         | (78,198)           | (136,705)          |
| საგადასახადო ხარჯი                         | (75,715)           | (76,421)           |
| საპროცენტო ხარჯი საიჯარო ვალდებულებაზე     | (37,266)           | -                  |
| კომუნიკაციის ხარჯი                         | (35,838)           | (34,825)           |
| შეკეთების ხარჯი                            | (26,958)           | (131,702)          |
| ჯარიმები                                   | (15,827)           | (3,941)            |
| ფიქსირებული აქტივები ჩამოწერის ხარჯი       | (8,515)            | (62,356)           |
| სხვა ხარჯები                               | (60,185)           | (181,628)          |
| <b>სულ ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი</b> | <b>(3,592,826)</b> | <b>(4,877,362)</b> |

### 19. საკურსო სხვაობით მიღებული მოგება/(ზარალი)

საკურსო სხვაობით მიღებული მოგება/(ზარალი)-ის ოპერაციები 2024 წლისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

|                                                           | ფული და ფულის<br>ეკვივალენტები | სავაჭრო და<br>სხვა მოთხოვნები | საიჯარო<br>ვალდებულებები | სავაჭრო და<br>სხვა ვალდებულებები | 2024          |
|-----------------------------------------------------------|--------------------------------|-------------------------------|--------------------------|----------------------------------|---------------|
| საკურსო სხვაობით მიღებული მოგება                          | 191,959                        | 8,328                         | -                        | 5,626                            | 205,913       |
| საკურსო სხვაობით მიღებული ზარალი                          | (45,516)                       | (10,579)                      | (64,063)                 | (7,542)                          | (127,700)     |
| <b>საკურსო სხვაობით მიღებული მოგება/(ზარალი) - წმინდა</b> | <b>146,443</b>                 | <b>(2,251)</b>                | <b>(64,063)</b>          | <b>(1,916)</b>                   | <b>78,213</b> |

საკურსო სხვაობით მიღებული მოგება/(ზარალი)-ის ოპერაციები 2022 წლისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

|                                                           | ფული და ფულის<br>ეკვივალენტები | სავაჭრო და სხვა<br>მოთხოვნები | სავაჭრო და სხვა<br>ვალდებულებები | 2023            |
|-----------------------------------------------------------|--------------------------------|-------------------------------|----------------------------------|-----------------|
| საკურსო სხვაობით მიღებული მოგება                          | 263,384                        | -                             | 7,547                            | 270,931         |
| საკურსო სხვაობით მიღებული ზარალი                          | (289,614)                      | (6,675)                       | (3,267)                          | (299,556)       |
| <b>საკურსო სხვაობით მიღებული მოგება/(ზარალი) - წმინდა</b> | <b>(26,230)</b>                | <b>(6,675)</b>                | <b>4,280</b>                     | <b>(28,625)</b> |



## 20. სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/(ხარჯი) - წმინდა

|                                                           | 2024 წელი      | 2023 წელი      |
|-----------------------------------------------------------|----------------|----------------|
| შემოსავალი პარკირებიდან                                   | 109,137        | 346,872        |
| საიჯარო შემოსავალი                                        | 54,320         | 419,205        |
| ავტოსამრეცხაოს შემოსავალი                                 | 25,789         | 73,588         |
| მოგება/(ზარალი) ძირითადი საშუალების გასვლიდან             | 122,442        | -              |
| სხვა არასაოპერაციო შემოსავალი                             | 17,299         | 40,483         |
| სხვა არასაოპერაციო ხარჯი                                  | (37,131)       | (159,002)      |
| <b>სულ სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/(ხარჯი) - წმინდა</b> | <b>291,856</b> | <b>721,146</b> |

## 21. მოგების გადასახადი

2016 წლის 13 მაისს საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა მნიშვნელოვანი ცვლილებები საქართველოს საგადასახადო კოდექსში კორპორატიული საშემოსავლო გადასახადის რეფორმის შესახებ კანონპროექტთან დაკავშირებით (ასევე ცნობილი როგორც კორპორატიული დაბეგვრის ესტონური მოდელი), რომელიც ძირითადად გადააქვს დაბეგვრის მომენტს დასაბეგრი მოგების მიღების მომენტიდან. იმ მომენტამდე, როდესაც ისინი ნაწილდებიან. კანონი ძალაშია 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ დაწყებული საგადასახადო პერიოდებიდან. იმის გათვალისწინებით, რომ ცვლილება საქართველოს საგადასახადო კოდექსში შევიდა ანგარიშგების თარიღამდე, გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები კანონის მოქმედების შემდეგ არ იქნება აღიარებული. საშემოსავლო გადასახადის პირობითი ვალდებულება, რომელიც წარმოიქმნება მოგების განაწილებით, არ იქნება აღიარებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

2016 წელს საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა დღგ-სთან დაკავშირებული სხვა ცვლილებები საქართველოს საგადასახადო კოდექსში. გადაწყვეტილების მიხედვით, მყიდველისგან წინასწარ მიღებული თანხის ოდენობა უნდა დაექვემდებაროს დღგ-ს. კანონი ძალაშია 2017 წლის 1 იანვრიდან დაწყებული საგადასახადო პერიოდებიდან.

2024 წლის საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში კომპანიამ გამოაცხადა და გაანაწილა დივიდენდი 7,420,000 და 5,817,000 ლარის ოდენობით, შესაბამისად. (2023: 2,500,000 და 4,842,105 ლარი). გაცემულ დივიდენდებზე კომპანიამ გადაიხადა მოგების გადასახადი, რომელმაც შეადგინა 1,032,345 ლარი. (2023: 854,489 ლარი). მოგების გადასახადი დაიანგარიშგება გადახდილი დივიდენდის თანხის გაყოფით 0.85-ზე.

## 22. პირობითი ვალდებულებები

### საბანკო გარანტიები

კომპანიას აქვს საბანკო გარანტიები თიბისი ბანკში. გარანტიები გაცემულია კომპანიის კლიენტების მიმართ არსებული ვალდებულებების უზრუნველსაყოფად. დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ შენიშვნა 10.

### საგადასახადო შესაძლო ვალდებულებები

საქართველოს საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და შესაბამისი კანონმდებლობა ხასიათდება ხშირი ცვლილებებით, ოფიციალური განცხადებებით და სასამართლო გადაწყვეტილებებით, რომლებიც ზოგჯერ გაურკვეველია, არსებობს ურთიერთგამომრიცხავი და ინტერპრეტირებას დაქვემდებარებული დებულებები. საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევის შემთხვევაში, საგადასახადო უწყებებს არ შეუძლიათ დააკისრონ კომპანიას დამატებითი გადასახადები ან ჯარიმები, თუ დარღვევის ჩადენის წლის ბოლოდან გასულია სამი წელი.

საქართველოში ამ გარემოებებმა შეიძლება შექმნას საგადასახადო რისკი, რომელიც უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე სხვა ქვეყნებში. მენეჯმენტი თვლის, რომ საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის, ოფიციალური განცხადებების და სასამართლო გადაწყვეტილებების მისეულ ინტერპრეტაციაზე დაყრდნობით, იგი საგადასახადო ვალდებულებების შესრულებას ადეკვატურად უზრუნველყოფს. თუმცა შესაბამისი უწყებების მიერ გაკეთებული ინტერპრეტაციები შეიძლება განსხვავებული იყოს და ამ ინტერპრეტაციების განხორციელებამ შეიძლება მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაზე.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიას აქვს სამართლებრივი დავა, რომელშიც შპს "ლასარე" ფიგურირებს როგორც მოპასუხე. დავა ამ დროისთვის პირველი ინსტანციის სასამართლოში განიხილება და დავის თანხა შეადგენს **1,560,000 ლარს**.

**შპს „ლასარე“  
ფინანსური ანგარიშგება  
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით  
ქართულ ლარში**

კომპანიის იურიდიული მრჩეველის მიერ მომზადებული სამართლებრივი დასკვნის საფუძველზე, მართალია საქმე დიდ თანხას ეხება, თუმცა ამ ეტაპზე ეკონომიკური რესურსების გადინების ალბათობა არ ითვლება სავარაუდოდ. საქმე საწყის ეტაპზეა და შედეგი გაურკვეველია.

შესაბამისად, აღნიშნულ ფინანსურ ანგარიშგებაში არ აღიარებულია რეზერვი. საკითხი ასახულია როგორც პირობითი ვალდებულება, საერთაშორისო ფინანსური აღრიცხვის სტანდარტის IAS 37 „რეზერვები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები“ მიხედვით, ვინაიდან რეზერვის აღიარების წინაპირობები — არსებული ვალდებულება და სავარაუდო გადინება — არ არის დაკმაყოფილებული. მენეჯმენტი აქტიურად აკვირდება საქმის მიმდინარეობას და გადახედავს საკუთარ პოზიციას ახალი ინფორმაციის არსებობის შემთხვევაში.

2024 წლის 31 დეკემბრისა და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აღნიშნულის გარდა, კომპანიას არ აქვს სხვა პირობითი ვალდებულებები და არსებითი ვალდებულებები.

### **23. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან**

დაკავშირებული მხარე არის პირი ან საწარმო, დაკავშირებული იმ საწარმოსთან, რომელიც ამზადებს ფინანსურ ანგარიშგებას (ზემოაღნიშნული საწარმო წინამდებარე სტანდარტში მოიხსენიება როგორც „ანგარიშვალდებული საწარმო“).

ა) პირი ან მისი ოჯახის წევრი მიიჩნევა ანგარიშვალდებული საწარმოსთვის დაკავშირებულ მხარედ, თუ:

- (i) ეს პირი აკონტროლებს ან ერთობლივად აკონტროლებს ანგარიშვალდებულ საწარმოს; ან
- (ii) მას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა ანგარიშვალდებულ საწარმოზე; ან
- (iii) არის ანგარიშვალდებული საწარმოს ან მისი სათავო საწარმოს უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის წევრი.

ბ) საწარმო მიიჩნევა ანგარიშვალდებული საწარმოსთვის დაკავშირებულ მხარედ, თუ შემდეგი პირობებიდან რომელიმე არსებობს:

- (i) ეს საწარმო და ანგარიშვალდებული საწარმო არიან ერთი და იმავე ჯგუფის წევრები (რაც იმას ნიშნავს, რომ სათავო საწარმო, შვილობილი საწარმო და იმავე სათავო საწარმოს სხვა შვილობილი საწარმოები ერთმანეთთან არიან დაკავშირებული);
- (ii) ერთ-ერთი საწარმო არის მეორის მეკავშირე საწარმო ან ერთობლივი საწარმო (ან იმ ჯგუფის რომელიმე წევრის მეკავშირე საწარმო ან ერთობლივი საწარმო, რომლის წევრიც არის მეორე საწარმო);
- (iii) ორივე საწარმო წარმოადგენს ერთი და იმავე მესამე მხარის ერთობლივ საწარმოს;
- (iv) ერთი საწარმო არის რომელიმე მესამე მხარის ერთობლივი საქმიანობა, ხოლო მეორე საწარმო იმავე მესამე მხარის მეკავშირე საწარმოა;
- (v) ეს საწარმო არის ან ანგარიშვალდებული საწარმოს, ან ანგარიშვალდებულ საწარმოსთან დაკავშირებული რომელიმე მხარის დაქირავებულ პირთა შრომითი საქმიანობის შემდგომი გასამრჯელოების პროგრამის განმახორციელებელი. თუ ანგარიშვალდებული საწარმო თვითონ არის ამგვარი პროგრამის განმახორციელებელი, სპონსორი დამქირავებლებიც ანგარიშვალდებული საწარმოსთვის დაკავშირებულ მხარეებად მიიჩნევა;
- (vi) ამ საწარმოს აკონტროლებს ან ერთობლივად აკონტროლებს (ა) პუნქტში მითითებული რომელიმე პირი;
- (vii) (ა) (i) პუნქტში მითითებულ რომელიმე პირს აქვს მნიშვნელოვანი გავლენა ამ საწარმოზე, ან ეს პირი არის ზემოაღნიშნული საწარმოს (ან მისი სათავო საწარმოს) უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის წევრი;
- (viii) ეს საწარმო, ან იმავე ჯგუფში შემავალი სხვა საწარმო, რომელსაც მოცემული საწარმო განეკუთვნება, ანგარიშვალდებულ საწარმოს, ან ანგარიშვალდებული საწარმოს სათავო საწარმოსთვის ასრულებს მმართველობით მომსახურებას.

შპს „ლასარე“  
 ფინანსური ანგარიშგება  
 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით  
 ქართულ ლარში

2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დაკავშირებულ მხარეებთან არსებული ნაშთები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

|                       | 31 დეკემბერი 2024 | 31 დეკემბერი 2023 |
|-----------------------|-------------------|-------------------|
| სახელფასო ვალდებულება | 9,587             | 36,341            |
| სხვა ვალდებულება      | 24,833            | 23,221            |
| გადასახდელი დივიდენდი | 4,760,895         | 3,157,895         |
| საიჯარო ვალდებულება   | 4,570,336         | -                 |

მენეჯმენტის ანაზღაურება წარმოდგენილია შემდეგნაირად:

|                   | 2024 წელი | 2023 წელი |
|-------------------|-----------|-----------|
| ხელფასი და ბონუსი | 310,804   | 270,931   |

## 24. ფინანსური რისკების მართვა

### (ა)ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება

სამართლიანი ღირებულების შეფასების მიზანია მაქსიმალურად ზუსტი ფასის განსაზღვრა, რომელიც მიღებული იქნება აქტივის გაყიდვისგან ან გადახდილი იქნება ვალდებულების გადაცემისთვის ნორმალური ოპერაციების ფარგლებში ბაზრის მონაწილეებს შორის შეფასების თარიღისას. თუმცა, შეფასების სუბიექტურობიდან გამომდინარე, სამართლიანი ღირებულება არ უნდა იყოს ინტერპრეტირებული, როგორც შესრულებადი აქტივის დაუყოვნებლივ გაყიდვისას ან ვალდებულებების გადაცემისას. კომპანიამ ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება განსაზღვრა შეფასების მეთოდის გამოყენებით. შეფასების მეთოდის მიზანია სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა, რომელიც ასახავს ფასს, რომელიც მიღებული იქნება აქტივის რეალიზაციიდან ან გადახდილი იქნება ვალდებულების გადასაცემად ბაზრის მონაწილეებს შორის ნორმალური ოპერაციების ფარგლებში შეფასების თარიღით. შეფასების გამოყენებული მეთოდია დისკონტირებული ფულადი ნაკადების მოდელი. ყველა ფინანსური აქტივისა და ვალდებულების რეალური ღირებულების გამოთვლა ხდება მომავალი ძირითადი და საპროცენტო ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულების საფუძველზე, დისკონტირებული ანგარიშგების თარიღისთვის არსებული საბაზრო საპროცენტო განაკვეთით.

სამართლიანი ღირებულებები კატეგორიზებულია სხვადასხვა დონეზე სამართლიანი ღირებულების იერარქიაში, იმის მიხედვით, თუ რამდენად დაკვირვებადია შეფასების მონაცემები და მთლიანობაში რეალური ღირებულების შეფასების მონაცემების მნიშვნელობა:

- დონე 1 – იდენტური აქტივების ან ვალდებულების კოტირებული (არაკოტირებული) საბაზრო ფასები აქტიურ ბაზრებზე;
- დონე 2 – ღირებულების შეფასების მეთოდები, რომელთა მიხედვითაც შესაძლებელია სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის მონაცემის პირდაპირი ან არაპირდაპირი განსაზღვრა;
- დონე 3 – ღირებულების შეფასების მეთოდები, რომელთა მიხედვითაც შეუძლებელია სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის მონაცემის განსაზღვრა.

მენეჯმენტი თვლის, რომ კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალური ღირებულებები მიახლოებითაა მათი საბალანსო ღირებულებასთან.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია ფინანსური ინსტრუმენტების ანალიზი სამართლიანი ღირებულების დონეების მიხედვით.

შპს „ლასარე“  
ფინანსური ანგარიშგება  
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით  
ქართულ ლარში

| სამართლიანი ღირებულება 2024 წლის პერიოდის ბოლოს |                   |          |                   |                   |
|-------------------------------------------------|-------------------|----------|-------------------|-------------------|
|                                                 | დონე 1            | დონე 2   | დონე 3            | სულ               |
| <b>ფინანსური აქტივები</b>                       |                   |          |                   |                   |
| ფული და ფულის ეკვივალენტები                     | 16,805,411        | -        | -                 | 16,805,411        |
| სავაჭრო და სხვა მოთხოვნები                      | -                 | -        | 461,466           | 461,466           |
| მოკლევადიანი ინვესტიციები                       | 5,490,032         | -        | -                 | 5,490,032         |
| <b>სულ ფინანსური აქტივები</b>                   | <b>22,295,443</b> | <b>-</b> | <b>461,466</b>    | <b>22,756,909</b> |
| <b>ფინანსური ვალდებულებები</b>                  |                   |          |                   |                   |
| სავაჭრო და სხვა ვალდებულებები                   | -                 | -        | 2,148,964         | 2,148,964         |
| გადასახდელი დივიდენდი                           | -                 | -        | 4,760,895         | 4,760,895         |
| საგადასახადო ვალდებულება                        | -                 | -        | 1,361,045         | 1,361,045         |
| საიჯარო ვალდებულება                             | -                 | -        | 4,570,336         | 4,570,336         |
| <b>სულ ფინანსური ვალდებულებები</b>              | <b>-</b>          | <b>-</b> | <b>12,841,240</b> | <b>12,841,240</b> |
| სამართლიანი ღირებულება 2023 წლის პერიოდის ბოლოს |                   |          |                   |                   |
|                                                 | დონე 1            | დონე 2   | დონე 3            | სულ               |
| <b>ფინანსური აქტივები</b>                       |                   |          |                   |                   |
| ფული და ფულის ეკვივალენტები                     | 13,720,163        | -        | -                 | 13,720,163        |
| სავაჭრო და სხვა მოთხოვნები                      | -                 | -        | 303,228           | 303,228           |
| მოკლევადიანი ინვესტიციები                       | -                 | -        | -                 | -                 |
| <b>სულ ფინანსური აქტივები</b>                   | <b>13,720,163</b> | <b>-</b> | <b>303,228</b>    | <b>14,023,391</b> |
| <b>ფინანსური ვალდებულებები</b>                  |                   |          |                   |                   |
| სავაჭრო და სხვა ვალდებულებები                   | -                 | -        | 1,775,283         | 1,775,283         |
| გადასახდელი დივიდენდი                           | -                 | -        | 3,157,895         | 3,157,895         |
| საგადასახადო ვალდებულება                        | -                 | -        | 83,120            | 83,120            |
| <b>სულ ფინანსური ვალდებულებები</b>              | <b>-</b>          | <b>-</b> | <b>5,016,298</b>  | <b>5,016,298</b>  |

**(ბ) ფინანსური რისკების მართვა**

ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებიდან გამომდინარე, კომპანიაზე ვრცელდება შემდეგი სახის რისკები:

- საკრედიტო რისკი: ალბათობა, რომ მსესხებელი ვერ შეძლებს გადაიხადოს მთლიანი სესხი ან მისი ნაწილი, ან ვერ შეძლებს სესხის დროულად დაფარვას, რაც გამოიწვევს ზარალს კომპანიისთვის;
- ლიკვიდურობის რისკი: რისკი, რომ კომპანიას არ ექნება, ან ვერ ამოიღებს ნაღდ ფულს საჭირო დროს და ამის შედეგად აღმოჩნდება სირთულეების წინაშე ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული მოვალეობების შესრულების თვალსაზრისით.;
- საბაზრო რისკი: რისკი, რომ საბაზრო ფასების ცვალებადობის შედეგად შეიცვლება ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება ან ფულადი სახსრების მომავალი ნაკადები სამართლიანი ღირებულების თვალსაზრისით. ძირითადად, კომპანია ექვემდებარება საბაზრო რისკის ორ კომპონენტს:
  - საპროცენტო რისკი
  - სავალუტო რისკი

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების საბალანსო ნაშთები კატეგორიების მიხედვით:

|                                | 31 დეკემბერი 2024 | 31 დეკემბერი 2023 |
|--------------------------------|-------------------|-------------------|
| <b>ფინანსური აქტივები</b>      |                   |                   |
| ფული და ფულის ეკვივალენტები    | 16,805,411        | 13,720,163        |
| სავაჭრო და სხვა მოთხოვნები     | 461,466           | 303,228           |
| მოკლევადიანი ინვესტიციები      | 5,490,032         | -                 |
| <b>სულ ფინანსური აქტივები</b>  | <b>22,756,909</b> | <b>14,023,391</b> |
| <b>ფინანსური ვალდებულებები</b> |                   |                   |

**შპს „ლასარე“  
ფინანსური ანგარიშგება  
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით  
ქართულ ლარში**

|                                    |                   |                  |
|------------------------------------|-------------------|------------------|
| სავაჭრო და სხვა ვალდებულებები      | 2,148,964         | 1,775,283        |
| გადასახდელი დივიდენდი              | 4,760,895         | 3,157,895        |
| საგადასახადო ვალდებულება           | 1,361,045         | 83,120           |
| საიჯარო ვალდებულება                | 4,570,336         | -                |
| <b>სულ ფინანსური ვალდებულებები</b> | <b>12,841,240</b> | <b>5,016,298</b> |

**კომპანიის რისკების მართვა**

კომპანიის მენეჯმენტი პასუხისმგებელია კომპანიის რისკის მართვის სისტემის ჩამოყალიბებაზე და მის კონტროლზე.

კომპანიის რისკების მართვის პოლიტიკა შექმნილია კომპანიის წინაშე არსებული რისკების იდენტიფიცირებისა და ანალიზისთვის, რისკების შესაბამისი ლიმიტებისა და კონტროლის დასაყენებლად და რისკების მონიტორინგისა და ლიმიტების დაცვის მიზნით. რისკის მართვის პოლიტიკა და სისტემები რეგულარულად განიხილება, რათა აისახოს ცვლილებები ბაზრის პირობებში და კომპანიის საქმიანობაში. კომპანიის ოპერაციული სტრუქტურის სიმარტივის გამო, არ არის საჭირო რისკების მართვის დოკუმენტირებული პოლიტიკა.

**საკრედიტო რისკი**

კომპანიის საკრედიტო რისკის პოლიტიკა მიზნად ისახავს შეამციროს საკრედიტო რისკები. კომპანიას აქვს განსაზღვრული საკრედიტო რისკები ყოველი პროდუქციისა და მომსახურებისთვის. კომპანიაში გაყიდვების უდიდესი მოცულობა ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით მომსახურებისა და პროდუქციის მიწოდების მომენტში, როცა დანარჩენი გაყიდვებისა დაწესებულია გარკვეული ლიმიტები, რომლის კონტროლიც სისტემატიურად ხდება. შესაბამისად, მიმდინარე პერიოდში კომპანია არ დგას იმ რისკის წინაშე, რომე ვერ შეძლებს მოთხოვნების ამოღებას.

კომპანია ექვემდებარება საკრედიტო რისკს, რაც არის რისკი იმისა, რომ კონტრაგენტი ვერ შეძლებს სრულად გადაიხადოს თანხები ვადის გასვლისას.

კომპანიის მაქსიმალური შეხება საკრედიტო რისკებზე ზოგადად აისახება არსებული ფინანსური აქტივების ნარჩენ ღირებულებაზე საბალანსო უწყისში.

ფინანსური აქტივის ან აქტივების ჯგუფის გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება მოიცავს დაკვირვებად მონაცემებს, რომლებიც ექცევა აქტივის მფლობელის ყურადღებას შემდეგი ზარალის მოვლენების შესახებ:

- ემიტენტის ან ვალდებულების მნიშვნელოვანი ფინანსური სირთულე;
- ხელშეკრულების დარღვევა, როგორიცაა პროცენტის ან ძირითადი თანხის გადახდის შეუსრულებლობა ან ვადაგადაცილება;
- კრედიტორი, მოვალის ფინანსურ სირთულესთან დაკავშირებული ეკონომიკური ან სამართლებრივი მიზეზების გამო, ანიჭებს მოვალეს დათმობას, რომელსაც კრედიტორი სხვაგვარად არ განიხილავდა;
- სავარაუდო გახდა მოვალის გაკოტრება ან სხვა ფინანსური რეორგანიზაცია; ან
- დაკვირვებადი მონაცემები, რომლებიც მიუთითებს იმაზე, რომ იყო ფინანსური აქტივების ჯგუფიდან სავარაუდო სამომავლო ფულადი ნაკადების გაზომვადი შემცირება ამ აქტივების თავდაპირველი აღიარების დღიდან, მიუხედავად იმისა, რომ კლება ჯერ ვერ იდენტიფიცირებულია ჯგუფის ცალკეულ ფინანსურ აქტივებთან, როგორიცაა მაგ. არახელსაყრელი ეროვნული ან ადგილობრივი ეკონომიკური პირობები ან მრეწველობის პირობების უარყოფითი ცვლილებები.

**ლიკვიდურობის რისკი**

ლიკვიდობის რისკი არის იმის რისკი, რომ სუბიექტს გაუძნელდება ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული ვალდებულებების შესრულება. ლიკვიდობის რისკი ეხება ფინანსური ვალდებულებების უზრუნველსაყოფად საკმარისი სახსრების არსებობას, რომლებიც უკავშირდება ფინანსურ ინსტრუმენტებს მათი დაფარვის ვადის დადგომისას. ლიკვიდობის რისკი არსებობს მაშინ, როცა აქტივებისა და ვალდებულებების დაფარვის ვადები ერთმანეთს არ ემთხვევა. კომპანიის საკრედიტო რისკის პოლიტიკის მიხედვით, მოთხოვნების ამოღება მიმდინარეობს აქტიურად, რაც შემდგომში წარმოქმნის საკმარის ფულად სახსრებს მიმდინარე ვალდებულებების დასაფარად.

ლიკვიდურობის ცხრილი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

შპს „ლასარე“  
ფინანსური ანგარიშგება  
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით  
ქართულ ლარში

|                                    | 1 წელზე ნაკლები   | 1-დან 5 წლამდე   | 5 წელზე მეტი | სულ               |
|------------------------------------|-------------------|------------------|--------------|-------------------|
| <b>ფინანსური აქტივები</b>          |                   |                  |              |                   |
| ფული და ფულის ეკვივალენტები        | 16,805,411        | -                | -            | 16,805,411        |
| სავაჭრო და სხვა მოთხოვნები         | 461,466           | -                | -            | 461,466           |
| მოკლევადიანი ინვესტიციები          | 5,490,032         | -                | -            | 5,490,032         |
| <b>სულ ფინანსური აქტივები</b>      | <b>22,756,909</b> | <b>-</b>         | <b>-</b>     | <b>22,756,909</b> |
| <b>ფინანსური ვალდებულებები</b>     |                   |                  |              |                   |
| სავაჭრო და სხვა ვალდებულებები      | 2,148,964         | -                | -            | 2,148,964         |
| გადასახდელი დივიდენდი              | 4,760,895         | -                | -            | 4,760,895         |
| საგადასახადო ვალდებულება           | 1,361,045         | -                | -            | 1,361,045         |
| საიჯარო ვალდებულება                | 962,022           | 3,608,314        | -            | 4,570,336         |
| <b>სულ ფინანსური ვალდებულებები</b> | <b>9,232,926</b>  | <b>3,608,314</b> | <b>-</b>     | <b>12,841,240</b> |
| <b>ლიკვიდურობის პოზიცია</b>        | <b>13,523,983</b> | <b>-</b>         | <b>-</b>     | <b>9,915,669</b>  |

ლიკვიდურობის ცხრილი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

|                                    | 1 წელზე ნაკლები   | 1-დან 5 წლამდე | 5 წელზე მეტი | სულ               |
|------------------------------------|-------------------|----------------|--------------|-------------------|
| <b>ფინანსური აქტივები</b>          |                   |                |              |                   |
| ფული და ფულის ეკვივალენტები        | 13,720,163        | -              | -            | 13,720,163        |
| სავაჭრო და სხვა მოთხოვნები         | 303,228           | -              | -            | 303,228           |
| მოკლევადიანი ინვესტიციები          | -                 | -              | -            | -                 |
| <b>სულ ფინანსური აქტივები</b>      | <b>14,023,391</b> | <b>-</b>       | <b>-</b>     | <b>14,023,391</b> |
| <b>ფინანსური ვალდებულებები</b>     |                   |                |              |                   |
| სავაჭრო და სხვა ვალდებულებები      | 1,775,283         | -              | -            | 1,775,283         |
| გადასახდელი დივიდენდი              | 3,157,895         | -              | -            | 3,157,895         |
| საგადასახადო ვალდებულება           | 83,120            | -              | -            | 83,120            |
| <b>სულ ფინანსური ვალდებულებები</b> | <b>5,016,298</b>  | <b>-</b>       | <b>-</b>     | <b>5,016,298</b>  |
| <b>სულ ფინანსური ვალდებულებები</b> | <b>9,007,093</b>  | <b>-</b>       | <b>-</b>     | <b>9,007,093</b>  |

კომპანიას აქვს დადებითი ლიკვიდურობის პოზიცია მიმდინარე და გასულ საანგარიშგებო პერიოდებში, რაც კომპანიის ჯანსაღი ფინანსური მდგომარეობის მაჩვენებელია.

### საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი წარმოადგენს საბაზრო ფასების ცვალებადობის რისკს, რაც მოიცავს კურსთაშორისი განაკვეთების, საპროცენტო განაკვეთების და კაპიტალის ღირებულების ცვალებადობის რისკს, რამაც შესაძლოა იმოქმედოს კომპანიის შემოსავალზე ან მის მიერ ფინანსური ინსტრუმენტების ფლობაზე. საბაზრო რისკების მართვის მიზანია საბაზრო რისკების საფრთხის მართვა და კონტროლი მისაღები პარამეტრების საფუძველზე ამონაგების ოპტიმიზაციის ფონზე.

### საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის ცვალებადობა ძირითადად აისახება სესხების რეალურ ღირებულებაზე (სესხი ფიქსირებული განაკვეთით) ან მათი მომავალი ფულადი სახსრების მოძრაობაზე (სესხი ცვალებადი განაკვეთით). კომპანიას არ აქვს სასესხო ვალდებულებები, შესაბამისად კომპანია არ დგას საპროცენტო განაკვეთის რისკის წინაშე.

### სავალუტო რისკი

უცხოურ ვალუტაში დენომინირებული აქტივები (საბანკო ნაშთები, დეპოზიტები, ფინანსური ინსტრუმენტები და მოთხოვნები) და ვალდებულებები (სავაჭრო ვალდებულებები) წარმოშობს უცხოური ვალუტის რისკს. კომპანიას არ აქვს სავალუტო რისკის მართვის ფორმალური პროცედურა, თუმცა მენეჯმენტი მიიჩნევს რომ კარგად არიან ინფორმირებული ეკონომიკაში არსებულ მიმდინარე ტენდენციებზე და საჭიროების შემთხვევაში გადადგამენ ქმედით ნაბიჯებს სავალუტო რისკის შესამცირებლად. აღნიშნული ქმედითი ნაბიჯები მოიცავს ეროვნულ ვალუტაში ფულადი სახსრებისა და ფინანსური ინსტრუმენტების განთავსებას.

შპს „ლასარე“  
ფინანსური ანგარიშგება  
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით  
ქართულ ლარში

კომპანიის პოზიცია უცხოური ვალუტის კურსის ცვლილების რისკის მიმართ შემდეგნაირად არის წარმოდგენილი:

|                                           | ლარი              | აშშ დოლარი       | ევრო             | სულ 2024          |
|-------------------------------------------|-------------------|------------------|------------------|-------------------|
| <b>ფინანსური აქტივები</b>                 |                   |                  |                  |                   |
| ფული და ფულის ეკვივალენტები               | 10,989,622        | 5,408,201        | 407,588          | 16,805,411        |
| სავაჭრო და სხვა მოთხოვნები                | 260,112           | 201,354          | -                | 461,466           |
| მოკლევადიანი ინვესტიციები                 | 3,975,554         | -                | 1,514,478        | 5,490,032         |
| <b>სულ ფინანსური აქტივები</b>             | <b>15,225,288</b> | <b>5,609,555</b> | <b>1,922,066</b> | <b>22,756,909</b> |
| <b>ფინანსური ვალდებულებები</b>            |                   |                  |                  |                   |
| სავაჭრო და სხვა ვალდებულებები             | 1,947,680         | 201,284          | -                | 2,148,964         |
| გადასახდელი დივიდენდი                     | 4,760,895         | -                | -                | 4,760,895         |
| საგადასახადო ვალდებულება                  | 1,361,045         | -                | -                | 1,361,045         |
| საიჯარო ვალდებულება                       | -                 | 4,570,336        | -                | 4,570,336         |
| <b>სულ ფინანსური ვალდებულებები</b>        | <b>8,069,620</b>  | <b>4,771,620</b> | <b>-</b>         | <b>12,841,240</b> |
| <b>წმინდა სავალუტო რისკის განფენილობა</b> | <b>7,155,668</b>  | <b>837,935</b>   | <b>1,922,066</b> | <b>9,915,669</b>  |

|                                           | ლარი             | აშშ დოლარი       | ევრო             | სულ 2023          |
|-------------------------------------------|------------------|------------------|------------------|-------------------|
| <b>ფინანსური აქტივები</b>                 |                  |                  |                  |                   |
| ფული და ფულის ეკვივალენტები               | 7,460,275        | 4,626,951        | 1,632,937        | 13,720,163        |
| სავაჭრო და სხვა მოთხოვნები                | 114,438          | 188,790          | -                | 303,228           |
| მოკლევადიანი ინვესტიციები                 | -                | -                | -                | -                 |
| <b>სულ ფინანსური აქტივები</b>             | <b>7,574,713</b> | <b>4,815,741</b> | <b>1,632,937</b> | <b>14,023,391</b> |
| <b>ფინანსური ვალდებულებები</b>            |                  |                  |                  |                   |
| სავაჭრო და სხვა ვალდებულებები             | 1,661,449        | 113,834          | -                | 1,775,283         |
| გადასახდელი დივიდენდი                     | 3,157,895        | -                | -                | 3,157,895         |
| საგადასახადო ვალდებულება                  | 83,120           | -                | -                | 83,120            |
| <b>სულ ფინანსური ვალდებულებები</b>        | <b>4,902,464</b> | <b>113,834</b>   | <b>-</b>         | <b>5,016,298</b>  |
| <b>წმინდა სავალუტო რისკის განფენილობა</b> | <b>2,672,249</b> | <b>4,701,907</b> | <b>1,632,937</b> | <b>9,007,093</b>  |

შემდეგი ცხრილი ასახავს მოგება-ზარალის და კაპიტალის სენსიტიურობას საბალანსო თარიღისთვის გამოყენებული გაცვლითი კურსების შესაძლო ცვლილებებზე, ყველა სხვა ცვლადის უცვლელად დატოვებით:

|                                | 2024      | 2023      |
|--------------------------------|-----------|-----------|
| აშშ დოლარის გამყარება 20%-ით   | 167,587   | 940,381   |
| აშშ დოლარის გაუფასურება 20%-ით | (167,587) | (940,381) |
| ევროს გამყარება 20%-ით         | 384,413   | 326,587   |
| ევროს გაუფასურება 20%-ით       | (384,413) | (326,587) |

## 25. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია კომპანიის მენეჯმენტის მიერ გასაშვებად 2025 წლის 30 აპრილის მდგომარეობით. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ, აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგების გამოქვეყნებამდე, არ მომხდარა არავითარი მნიშვნელოვანი მოვლენა, რომელიც გავლენას მოახდენდა კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.



შპს ლასარე

2024 წლის მმართველობითი ანგარიში

## **სარჩევი**

|                                     |   |
|-------------------------------------|---|
| ზოგადი ინფორმაცია.....              | 3 |
| სტანდარტები და რეგულაციები.....     | 4 |
| მომსახურებები.....                  | 4 |
| დასაქმებულები.....                  | 5 |
| სუბიექტის განვითარების გეგმები..... | 5 |
| გარემოს დაცვა.....                  | 5 |
| ფინანსური ანალიზი.....              | 7 |
| არაფინანსური მაჩვენებლები .....     | 8 |

### ზოგადი ინფორმაცია

შ.პ.ს. “ლასარე” დაარსდა 1989 წელს. კომპანია განლაგებულია შოთა რუსთაველის სახელობის თბილისის საერთაშორისო აეროპორტის ტერიტორიაზე. დღეისათვის “ლასარე” წარმოადგენს კერძო ავია-სატვირთო ტერმინალს.

ეს გახლავთ საჰაერო ხომალდის სატვირთო საჰენდლინგო მომსახურებისათვის აუცილებელი ბაზის, საბაჟო საწყობისა და თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი სასაწყობო მეურნეობის ერთობლიობა უშიშროების დაცული სისტემით, რომელიც მომხმარებელს სთავაზობს მაღალხარისხიან პროფესიონალურ მომსახურებას 24-საათის განმავლობაში. ტერმინალის ტერიტორიაზე განლაგებულია სატვირთო მომსახურების სრულყოფილი და დროული უზრუნველყოფისათვის აუცილებელი ყველა სათანადო სამსახური.

ყოველივე ზემოთ აღნიშნული, აეროდრომზე დამოუკიდებელ გასასვლელთან ერთად, საშუალებას გვაძლევს ადვილად გავართვათ თავი საჰაერო ტვირთების მომსახურების საკმაოდ რთულ და საპასუხისმგებლო პროცესს, საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნათა სრული დაცვით.

კომპანიაში დასაქმებულია მაღალი კვალიფიკაციის მქონე თანამშრომლები, მათ შორის არიან IATA-ში სერტიფიცირებული სპეციალისტები, სახიფათო ტვირთების და ცოცხალი ცხოველების მომსახურების უფლებით.

წლების განმავლობაში მაღალი დონის სანდო მომსახურების წყალობით კომპანიამ მომხმარებლებს შორის საიმედო პარტნიორის რეპუტაცია დაიმკვიდრა. სატვირთო საჰენდლინგო და გაყიდვების აგენტის სტატუსით მჭიდროდ ვთანამშრომლობთ უცხოურ და ადგილობრივ ავიაკომპანიებთან.

კომპანია სერტიფიცირებულია ევროკავშირის RA-3 და დიდი ბრიტანეთის RA-3 სერტიფიკატებით, რაც იძლევა ევროკავშირში და დიდ ბრიტანეთში ტვირთების პირდაპირი გაგზავნის უფლებას.

ავიაგადაზიდვების გაყივებისას მომხმარებელს ვთავაზობთ სპეციალურად ავიატვირთებისათვის მორგებულ სადაზღვევო პროგრამას.

ბიზნესის სფეროში შეტანილი წვლილის, მაღალი რეპუტაციისა და პროფესიონალიზმისათვის შპს “ლასარე”-მ მიიღო სპეციალური ჯილდო – ევროპის ოქროს თაღი ხარისხისა და ტექნოლოგიისათვის.

კომპანია წარმოადგენს საჰაერო ტრანსპორტის საერთაშორისო ასოციაციის სატვირთო აგენტს და გრაუნდ ჰენდლინგ პარტნიორს. 2023 წლის მდგომარეობით კომპანია თანამშრომლობს 60- მდე ავიაკომპანიასთან. ჩვენ გვაკავშირებს მრავალწლიანი თანამშრომლობა მოწინავე ავიაკომპანიებთან : Qatar Airways, Turkish Airlines, , Lufthansa, Cargolux, Flydubai, Air Arabia, Air Baltic, LOT Polish Airlines, Air Astana, და სხვა.

## **სტანდარტები და რეგულაციები**

შპს ლასარე როგორც საერთაშორისო საავიაციო და საბაჟო საწყობი იცავს როგორც სახელმწიფო ასევე საერთაშორისო საავიაციო რეგულაციებს და სტანდარტებს. კერძოდ, სსიპ შემოსავლების სამსახურისა და სსიპ სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს რეგულაციებს, ასევე საჰაერო ტრანსპორტის საერთაშორისო ასოციაციის, სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაციისა და პარტნიორი ავიაკომპანიების სტანდარტებს.

## **მომსახურებები**

*კომპანია მომხმარებელს სთავაზობს საავიაციო ტვირთების მომსახურების სრულ კომპლექსს:*

- საჰაერო ხომალდის სახმელეთო სატვირთო მომსახურება.
- სატვირთო-სატერმინალო მომსახურება.
- ტვირთის ავიაგადაზიდვის სააგენტო მომსახურება.
- შენახვა.
- ტვირთის შეფუთვა.
- საავიაციო უშიშროების სამსახურის მომსახურება.
- სახიფათო და რადიოაქტიური ტვირთების მომსახურება, სახიფათო ტვირთის დეკლარაციის მომზადების ან/და შემოწმების ჩატარების ჩათვლით.
- სატვირთო ავიაზედდებულის (AWB) მომზადება/კომპლექტაცია.
- ცოცხალი ცხოველების მომსახურება.
- სატვირთო ავტოტრანსპორტით ტვირთის მიწოდება.

## **ძირითადი მომსახურებების აღწერა:**

### **სატვირთო საჰენდლინგო მომსახურება**

ვასრულებთ თბილისის საერთაშორისო აეროპორტში სრულ სატვირთო მომსახურებას, ძირითადი ტვირთის გარდა ვამუშავებთ ყველა სახის ტვირთებს ძვირფასი, ცოცხალი, მალფუჭებადი, სახიფათო და სპეციფიკური (ზომა-წონიდან გამომდინარე) ტვირთების ჩათვლით. საჰაერო ხომალდების მომსახურებისას ვიყენებთ საკუთარ სატვირთო ავტო-ამწეებს, ჩანგლისებურ ამწეებს და სხვა სათანადო ტექნიკას.

### **სატერმინალო მომსახურება**

ტერმინალი ამუშავებს, აგზავნის და ღებულობს ყველა სახის ავია ტვირთებს მსოფლიოს ყველა წერტილიდან, ასრულებს სატრანზიტო ავია ტვირთების მომსახურებას, ტერმინალის ტერიტორია არის საქართველოს საბაჟოს კონტროლის ზონა, სადაც ინახება როგორც სტანდარტული ისე სპეციალური პირობებით შესანახი ტვირთი, ტერიტორიაზე განლაგებულია – სახიფათო, ძვირფასი და მალფუჭებადი ტვირთის საწყობები, ასევე ტემპერატურული რეჟიმის საწყობები.

## ავიაგადაზიდვა

ვასრულებთ ტვირთის ავიაგადაზიდვასთან დაკავშირებულ სრულ სააგენტო მომსახურებას. რაც მოიცავს, გასაგზავნი ტვირთების დაჯავშნას და ტვირთების მონიტორინგს ავიაკომპანიების სისტემებში, ვუზრუნველყოფთ დამკვეთისთვის ტვირთთან დაკავშირებული მაქსიმალური ინფორმაციის მიწოდებას; ძირითადი ტვირთის გარდა (General cargo), ვაგზავნით ყველა სახის ტვირთებს: ძვირფასი (გამოცხადებული ღირებულებით და გამოცხადების გარეშე) ცოცხალი, მალფუჭებადი, სახიფათო, სპეციფიკური (ზომა- წონიდან გამომდინარე) ტვირთების ჩათვლით. მოთხოვნის შემთხვევაში ვუზრუნველყოფთ ჩარტერული სატვირთო რეისების ორგანიზებას. ვახორციელებთ ტვირთების დაზღვევას სპეციალურად ავიაგადაზიდვებზე მორგებული სადაზღვევო პროგრამის გამოყენებით

## დასაქმებულები

კომპანიაში 2024 წლის განმავლობაში საშუალოდ დასაქმებული იყო 213-მდე ადამიანი, 2023- 217. კომპანია მუდმივად ზრუნავს თავისი თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლებაზე, თანამშრომლებს ინტენსიურად უტარდებათ როგორც შიდა ასევე საერთაშორისო ტრენინგები და სერტიფიცირება საავიაციო სატვირთო და სხვადასხვა მიმართულებით.

## სუბიექტის განვითარების გეგმები

კომპანიის მთავარ მიზანს წარმოადგენს, საავიაციო გადაზიდვებთან დაკავშირებული საჰენდლინგო და სატერმინალო მომსახურების წარმოება (იმპორტი/ექსპორტი/ტრანზიტი). როგორც ლიდერი კომპანია საქართველოს ავია ბაზარზე, შპს „ლასარე“ მუდმივად ცდილობს გამოიყენოს თავისი ძლიერი მხარეები, კომპეტენცია და მრავალწლიანი გამოცდილება რათა განავითაროს აღნიშნული მიმართულება და გაუწიოს მოხმარებელს მაღალხარისხიანი და სწრაფი მომსახურება. სამომავლო გეგმების ძირითადი მიმართულებებია: ახალ ავიაკომპანიებთან ურთიერთობის ჩამოყალიბება, ახალი სამუშაო ადგილების შექმნა, ინოვაციების დანერგვა და ტექნოლოგიური წინსვლა, რაც მოიცავს დახვეწილი და ავტომატიზირებული ოპერაციების უზრუნველყოფას და მომსახურების დროის ოპტიმიზაციას.

## გარემოს დაცვა

კომპანიის ერთ-ერთი ღირებულება ეკოლოგიაზე ზრუნვაა. აღნიშნული დასტურდება სატვირთო ტერმინალის სივრცეში არსებული მზის პანელებით, ასევე ეკომეგობრული ელექტრო ტექნიკის გამოყენებით სამუშაო პროცესში, ე.წ „მწვანე ყუთები“-ს განლაგებით ოფისის სრულ ტერიტორიაზე და არაერთი გარემოსდაცვითი აქტივობით, რაც ნათლად გამოკვეთს კომპანიის კორპორაციულ სოციალურ პასუხისმგებლობას.

კომპანიის ფინანსური მაჩვენებლები

აქტივები და ვალდებულებები

|                                       | 2024              |
|---------------------------------------|-------------------|
| ძირითადი საშუალებები                  | 1,551,281         |
| არამატერიალური აქტივები               | 368,412           |
| საინვესტიციო ქონება                   | -                 |
| აქტივის გამოყენების უფლება            | 4,327,850         |
| <b>სულ გრძელვადიანი აქტივები</b>      | <b>6,247,543</b>  |
| მარაგები                              | 48,452            |
| საგადასახადო აქტივი                   | -                 |
| გაცემული ავანსები                     | 71,002            |
| მოკლევადიანი ინვესტიცია               | 5,490,032         |
| სავაჭრო და სხვა მოთხოვნები            | 461,466           |
| ფული და ფულის ექვივალენტები           | 16,805,411        |
| <b>სულ მიმდინარე აქტივები</b>         | <b>22,876,363</b> |
| <b>სულ აქტივები</b>                   | <b>29,123,906</b> |
| საწესდებო კაპიტალი                    | 2,500,200         |
| გაუნაწილებელი მოგება                  | 13,419,208        |
| <b>სულ კაპიტალი</b>                   | <b>15,919,408</b> |
| გადასახდელი დივიდენდი                 | 4,760,895         |
| სავაჭრო და სხვა ვალდებულებები         | 2,148,964         |
| მიღებული ავანსები                     | 363,258           |
| საგადასახადო ვალდებულებები            | 1,361,045         |
| მიმდინარე საიჯარო ვალდებულება         | 962,022           |
| <b>სულ მოკლევადიანი ვალდებულებები</b> | <b>9,596,184</b>  |
| გრძელვადიანი საიჯარო ვალდებულება      | 3,608,314         |
| <b>სულ გრძელვადიანი ვალდებულებები</b> | <b>3,608,314</b>  |
| <b>სულ ვალდებულებები</b>              | <b>13,204,498</b> |
| <b>სულ ვალდებულებები და კაპიტალი</b>  | <b>29,123,906</b> |

### მოგება ზარალის მაჩვენებლები

|                                           | 2024              |
|-------------------------------------------|-------------------|
| შემოსავალი                                | 22,954,372        |
| რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება     | (7,677,523)       |
| <b>საერთო მოგება</b>                      | <b>15,276,849</b> |
| საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები         | (3,592,826)       |
| ცვლილება დებიტორული მოთხოვნების ანარიცხში | 4,663             |
| საპროცენტო შემოსავალი                     | 1,290,619         |
| საკურსო სხვაობით მიღებული მოგება/ზარალი   | 78,213            |
| სხვა არასაოპერაციო შემოსავლები/(ხარჯები)  | 291,856           |
| <b>მოგება დაბეგვრამდე</b>                 | <b>13,349,374</b> |
| მოგების გადასახადი                        | (1,032,345)       |
| <b>წმინდა მოგება</b>                      | <b>12,317,029</b> |

### ინფორმაცია ფილიალების საქმიანობის შესახებ

კომპანიას ამ ეტაპზე ფილიალები არ გააჩნია და უახლოესი 1 წლის განმავლობაში გახსნა არ იგეგმება.

### საკუთარი აქციების შეძენის შესახებ მოკლე ინფორმაცია

კომპანია არ ფლობს საკუთარ აქციებს

### ფინანსური ანალიზი

#### რისკები

##### საბაზრო რისკი

ძირითადი რისკი ავია ბაზარზე არის სავალუტო რისკი. ვალუტის კურსის ზრდის დროს მომსახურების ფასი და გადაზიდვის ტარიფები იმ პროპორციით არ იზრდება როგორც კურსი. არახელსაყრელი გაცვლითი კურსის მოძრაობამ შესაძლოა შეამციროს კომპანიის მომგებიანობა ან გაზარდოს ხარჯები. კომპანია ყოველდღიურად აკონტროლებს ვალუტის კურსის ცვლილებას. მუდმივი კონტროლი და სწრაფი რეაგირება ვალუტის კურსის ცვალებადობაზე, საშუალებას აძლევს კომპანიას ვალუტის გაუფასურებით მიღებული შესაძლო ზარალი მინიმუმამდე დაიყვანოს.

##### საკრედიტო რისკი

კომპანიის საკრედიტო პოლიტიკა უზრუნველყოფს საკრედიტო რისკის მინიმიზაციას. საკრედიტო რისკის სამართავად კომპანია დამატებით მონიტორინგს უწევს ვადაგადაცილებულ დღეებს.



## ლიკვიდურობის რისკი

კომპანია მართავს ლიკვიდურობის რისკს მთლიანი ფულადი სახსრების შეფასებით. ანალიზებს როგორც მოკლევადიან ისე გრძელვადიან ფულადი სახსრების შემოძინებისა და გადინებას შორის არსებულ პოტენციურ დეფიციტს. მისი მიზანია უზრუნველყოს, რომ ყოველთვის ჰქონდეს საკმარისი ლიკვიდობა ფუნქციონირების გასაგრძელებლად. ხელმძღვანელობის პოზიციით, 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიას აქვს საკმარისი ლიკვიდურობა ვალდებულებების დასაკმაყოფილებლად.

## არა-ფინანსური რისკი

ფინანსური რისკების გარდა კომპანია აკონტროლებს არაფინანსურ რისკებს. ასეთი რისკების და მათ სავარაუდო შედეგების მისაღებად დაბალ დონეზე შენარჩუნება კომპანიის რისკების მართვის პოლიტიკის საფუძველია, რასაც უზრუნველყოფს შიდა აუდიტის დეპარტამენტი.

## სამართლებრივი სქემა

კომპანია უსაფრთხოებას უზრუნველყოფს სამოქალაქო ავიაციის ადგილობრივი და საერთაშორისო წესდების შესაბამისად. ზემოთქმულის არარსებობის ან არაეფექტურობის შემთხვევაში, სექტორისთვის ან საერთაშორისო პრაქტიკისათვის შესაბამისი პროცედურები ტარდება რეგულარული წესით.

## არაფინანსური მაჩვენებლები

კომპანიის არაფინანსური მაჩვენებლები წინამდებარე მართველობით ანგარიშგებაში არ არის წარმოდგენილი, აღნიშნული ინფორმაცია განმარტებულია ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებით შენიშვნებში. სხვა ფინანსური მაჩვენებლები იხილეთ ფინანსურ ანგარიშგებაში.

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მომზადებული მმართველობის ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2025 წლის 30 აპრილს.

გენერალური დირექტორი

სერგო ლასარეიშვილი

მთავარი ბუღალტერი

დათო ბაინდურაშვილი

### **ლიკვიდურობის რისკი**

კომპანია მართავს ლიკვიდურობის რისკს მთლიანი ფულადი სახსრების შეფასებით. აანალიზებს როგორც მოკლევადიან ისე გრძელვადიან ფულადი სახსრების შემოდილებისა და გადინებას შორის არსებულ პოტენციურ დეფიციტს. მისი მიზანია უზრუნველყოს, რომ ყოველთვის ჰქონდეს საკმარისი ლიკვიდობა ფუნქციონირების გასაგრძელებლად. ხელმძღვანელობის პოზიციით, 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიას აქვს საკმარისი ლიკვიდურობა ვალდებულებების დასაკმაყოფილებლად.

### **არა-ფინანსური რისკი**

ფინანსური რისკების გარდა კომპანია აკონტროლებს არაფინანსურ რისკებს. ასეთი რისკების და მათ სავარაუდო შედეგების მისაღებად დაბალ დონეზე შენარჩუნება კომპანიის რისკების მართვის პოლიტიკის საფუძველია, რასაც უზრუნველყოფს შიდა აუდიტის დეპარტამენტი.

### **სამართლებრივი სქემა**

კომპანია უსაფრთხოებას უზრუნველყოფს სამოქალაქო ავიაციის ადგილობრივი და საერთაშორისო წესდების შესაბამისად. ზემოთქმულის არარსებობის ან არაეფექტურობის შემთხვევაში, სექტორისთვის ან საერთაშორისო პრაქტიკისათვის შესაბამისი პროცედურები ტარდება რეგულარული წესით.


### **არაფინანსური მაჩვენებლები**

კომპანიის არაფინანსური მაჩვენებლები წინამდებარე მართველობით ანგარიშგებაში არ არის წარმოდგენილი, აღნიშნული ინფორმაცია განმარტებულია ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებით შენიშვნებში. სხვა ფინანსური მაჩვენებლები იხილეთ ფინანსურ ანგარიშგებაში.

2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის მომზადებული მმართველობის ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2025 წლის 30 აპრილს.

### **გენერალური დირექტორი**

სერგო ლასარეიშვილი



### **მთავარი ბუღალტერი**

დათო ბაინდურაშვილი

